პიონერი

5
მაისი
1960

140/1960/3



19 მაისი

1922 წლის 19 მაისს კომკავშირის სრულიად რუსეთის კონფერენციამ დაადგინა ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, ქალაქსა თუ სოფელში ჩამოყალიბებულიყო პიონერული რაზმები. ამიტომაც ითვლება 19 მაისი საბჭოთა კავშირის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღედ.

თქვენი პიონერული ორგანიზაცია დიდი ბელადის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელს ატარებს. ეს მეტად საამაყოა! 1924 წლის იანვრის სამგლოვიარო დღეებში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა პიონერული ორგანიზაციისათვის დიდი ლენინის სახელი მიენიჭებია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პიონერთა რიგებში ლენინის საქმისათვის მებრძოლნი უნდა აღზრდილიყვნენ. პლენუმმა მიმართა პიონერებს: „...ახწავლო, იბრძოლო და იცხოვრო ისე, როგორც ცხოვრობდა და იბრძოდა ილიჩი,—ეს ყველაზე მთავარი საქმეა“.

უფროსმა და-ძმებმა—კომკავშირელებმა მოუწოდეს ნორჩებს: „თქვენ ღირსი უნდა იყოთ ამ დიადი სახელისა, რომელიც თქვენს დროშაზეა დაწერილი... ნორჩებო, მხნენო და გულადნო, პიონერული წითელი დროშით მტკიცედ მიჰყევით ლენინის კვალს“.

ამ დღიდან მოყოლებული, პიონერული ორგანიზაციის ისტორია სავსეა გმირული შრომის, სწავლისა და ბრძოლის ფურცლებით... განა თქვენს რიგებში არ მიიღეს პირველი წრთობა „ახალგაზრდა გვარდიელებმა“, ზოია კოსმოდემიანსკაიამ, ზოია რუხაძემ?.. პავლიკ მოროზოვის, ვალოდია დუბინინისა და ვალერი კოტიკის მკერდს განა პიონერული ყელსახვევი არ ამშვენებდა? რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, რომელთა სახელი მარად საამაყო იქნება ჩვენი სამშობლოსათვის, ახალგაზრდობისათვის, ნორჩებისათვის!

არ იყო არც ერთი დიდი მოვლენა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ისტორიაში, სადაც პიონერებს მონაწილეობა არ მიეღოთ. სამამულო ომის წლებში გაიშალა თემურელთა პატრიოტული მოძრაობა. ამავე წლებში ფრონტის დასახმარებლად შრომობდნენ პიონერები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში. 1942—45 წლებში მათ 589 მილიონი შრომადღე გამოიმუშავეს...

ჩადგა სამამულო ომის ქარიშხალი. მშვიდობიანი მშენებლობის ყოველ კუთხეში თქვენც დგახართ, პიონერებო. თქვენ ეხმარებით უფროსებს ყოველ საქმიანობაში, გადიხართ ჩვენს ბარაკიან მინდვრებში, დგახართ ბუნების დაცვის სადარაჯოზე, ეუფლებით ტექნიკას, გზავნით მეგობრულ ბარათებს საზღვარგარეთ, იღწვით მშვიდობისათვის. და სადაც არ უნდა იყოთ, მარად და მარად გახსოვთ, რომ თქვენს დროშაზე დიდი ლენინის სახელი აწერია; გახსოვთ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ასე მოგმართათ: „პიონერებო და მოსწავლეებო! შეუპოვრად და ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნასა და შრომითს ჩვევებს! ემზადეთ გახდეთ ლენინის დიადი საქმისათვის აქტიური მებრძოლები!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პირველ მაისს!

ჩვენი სალამი ამ პირველ მაისს,
ხასხასა კორდებს,
გადაშლილ ყვავილს!
ჩვენი სალამი ალისფერ დროშებს,
„დედაენასთან“ გაბადრულ ნორჩებს
ჩვენი სალამი მალხაზებს, კარგებს,
პიონერული ხაყვირის ჰანგებს
და სამაისო ზეიმის წუთებს,
შრომას და გარჯას
და მხოლოდ ხუთებს!
ჩვენი სალამი მგალობელ ჩიტებს,
ეუეუნა წვიმით გავსებულ კვირტებს
სალამი ახლად გამართულ ბუდეს,
ალუბლებს, ნუშებს,
ატმებს და თუთებს!
ჭალებს და მინდვრებს,
ტყეებს, ახოებს,
ჩვენს შორეულებს და
ჩვენს ახლობლებს!
ვინც შორსაა და
უჩვენოდ ვერ ძლებს,
და ვინც მოკითხვას
აბარებს მერცხლებს!
ჩვენი სალამი ცისფერ ხეობებს,
სადაც ორბები მოსახლეობენ;
ახალ გვირაბებს და მაღაროებს,
ახალ გზებსა და ახალ წყაროებს;
მაღალ შენობებს, პატარა სახლებს
და უდაბნოში გაყვანილ არხებს!
ჩვენი სალამი გლეხკაცის ნათესს,
მშვიდობის დღეებს
მზიანს და ნათელს;
ხასხასა კორდებს,
გადაშლილ ყვავილს,
ამ პირველ მაისს!
ამ პირველ მაისს!

ჯანსულ ჩარკვიანი

ჟ ი ო ნ ე ლ ი

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნორჩ
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო
ჟურნალი

5

მაისი
1960

გამოცემის წელი
XXXIV

8009

შინაარსი

	გვ.
19 მაისი (წერილი) . . . . . გარეკანის	2
ჯ. ჩარკვიანი—ამ პირველ მაისს (ლექსი) გარეკ.	2
რ. ირემაშვილი — „გაზაფხულის“ ფურცლებზე (წერილი)	2
ტ. ხავთასი—წვიმა და სოკო (ლექსი)	4
რ. მელაძე—მაისის წვიმა (ლექსი)	4
რ. ელანიძე—ვარძია (თქმულება)	5
კ. ლუარსაბიშვილი—უმცროსი და (მოთხრობა)	7
ო. იუშჩენკო—გაზაფხულდა (ლექსები უკრაინულიდან თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა)	8
ი. კანდელაკი—ფერეიდანელი ქართველი ბავშვები (წერილი)	9
მეცნიერების უახლესი მიღწევები	11
ე. ალექსიუ—ფრანჩესკო (მოთხრობა. თარგმნა ბ. შელიამ)	12
გ. თიკანაძე—პოლონეთის ცის ქვეშ (ფოტონარკვევი)	16
მ. ერისთავი—პირველი ლაშქრობა (წერილი)	18
ახალი წიგნები	21
მ. კიკილაშვილი, შ. ჭიაბრიშვილი — ნოსირელი მხედარი (წერილი)	22
რატომ ვამბობთ ასე	23
ნ. ხოფერია—ჩავიცვათ სუფთად და სადად (წერილი)	24
ალ. არაბული—კატის მამაცობა (ნამდვილი ამბავი)	25
ალ. ბუჩუკური—ვისაუბროთ ხეხილზე (წერილი)	26
გ. ჯოჯუა—როგორ გადავიღოთ პეიზაჟი (საუბარი)	26
ა. გაჩეჩილაძე—ერთდროულად ათასობით მაყურებელი (ფოტონარკვევი)	28
მოკლედ ყველაფერზე	30
ტექნიკის სამყაროში	31
თავისუფალ დროს	32

გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის **გ. გორდელაძეს**. გარეკანის მესამე გვერდზე—„ნახატი-ხუმრობები“.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **გ. თოთიბაძის, ნ. შალიკაშვილის, რ. ცუცქირიძისა** და **ე. ამბოკაძის** მიერ.

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**
სარედაქციო კოლეგია: **შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედაქტორი).

„გაზეთ ოქტ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერთა სასახლეში ნორჩი აქტივისტები შეკრებილიყვნენ. სიხარულს ვეღარ მალავდნენ. სასახლის გაზეთისათვის სახელი უნდა მოეძებნათ, ნათლად წარმოედგინათ გაზეთის მიზანი და ამოცანები, პირველი ნომრის გეგმა მოეხაზათ. ბევრი იკამათეს და იმსჯელეს. ბოლოს გადაწყდა: „გაზაფხული“ უწოდეს. პირველ მასალებზე მუშაობა, პირველი ლექსის, მოთხრობის დასაბეჭდად გამზადება რთული იყო მათთვის, მაგრამ საინტერესო და მიმზიდველი. ასე გამოვიდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გაზეთის—„გაზაფხულის“ პირველი ნომერი.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა. გაზეთის ყოველი ახალი ნომრის გამოსვლა ახალ გამოცდილებას მატებდა რედაქციას, იზრდებოდა ნორჩ კორესპონდენტთა რიცხვი.

ხშირად ნახავთ „გაზაფხულის“ რედაქციაში დაფიქრებულ პატარებს—ნინო რამიშვილს, თენგიზ ჩაჩავას, დებს: მანანა, თამრიკო, ქეთინო და ნინო აბრამიშვილებს, ივერი ფირაშვილს, ლალი შარაშიძეს... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

„ჟურნალისტური მოღვაწეობა“ ყველამ თავისებურად დაიწყო.

88-ე სკოლის რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ ჯულიეტა აბასოვამ კითხვით მოგვმართა: „ვინ უნდა ჩასწეროს აღნიშვნა პიონერის პირად წიგნაკში საფეხურის მოთხოვნის დაძლევის შესახებ?“ რას მოიფიქრებდა ჯულიეტა, რომ მისი შეკითხვა დიდი შრიფტით აიწყობოდა გაზეთში. მას შემდეგ ჯულიეტა სამ დღეში ერთხელ რედაქციაში მოდის, ათვალიერებს სარედაქციო ფოსტას, აინტერესებს რას მოსწერენ თანატოლები.

ჩვენს გაზეთში გადმოვბეჭდეთ 1912 წელს ჟურნალ „ნაკადულში“ გამოქვეყნებული რებუსი, რომელიც ეკუთვნოდა 13 წლის ბიჭუნას—გიორგი ლეონიძეს. გამოჩენილი პოეტის ბავშვობისდროინდელმა რებუსმა დიდი ინტერესი გამოიწვია. პასუხი ყველაზე ადრე მესამეკლა-

ერთ დღეს ავტომექანიკურ ლაბორატორიას აკაკი თათეიშვილი ესტუმრა. პედაგოგმა ალექსანდრე ჯაფარიძემ გაოცებით შეიტყო, რომ ბიჭუნა გაზეთის კორესპონდენტია.

სელმა რამაზ სიდამონიძემ მოიტანა. „მიყვარს, როცა გაზაფხულზე აყვავდება ნაზი ია“,—ეწერა ქაღალდზე. რებუსის ამოხსნა სწორი იყო, მაგრამ როცა ვთხოვეთ რამაზს რებუსი ნახატების მიხედვით წაეკითხა, იგი დაიბნა. მალე გამოტყდა ბიჭუნა, რომ რებუსი მისი ამოხსნილი არ იყო. არ გავიკიცხეთ. რებუსის შედგენის წესი ვასწავლეთ. „გაზაფხულის“ ერთ ნომერში სწორედ რამაზის მიერ შედგენილი რებუსი დაიბეჭდა. ახლა რამაზს ხშირად ნახავთ რედაქციაში, იგი აქტიური კორესპონდენტია.

ასე იწყებენ „გაზაფხულის“ ფურცლებზე თანამშრომლობას ნორჩი კორესპონდენტები. ნორჩ კორესპონდენტთა თვალი ყველგან წვდება და ყველაფერს ხედავს. სწრაფად შემოირბენენ სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიებს, დარბაზებსა და დერეფნებს. კარგთან ერთად ცუდსაც შენიშნავენ, ახალ-ახალი მასალები მოაქვთ, პატარა ლექსსა და მოთხრობას, საინტერესო გასართობს გვთავაზობენ, შემდეგ კი მოუთმენლად ელიან გაზეთის გამოსვლას.

გაზეთი ესაუბრება პატარებს კულტურული ქცევის წესებზე, შრომის დიდ მნიშვნელობაზე, გამრჯე, მოწინავე ადამიანებზე. „რა მოხდა, ერთი წუთით დავიგვიანე“, —რამდენს დაგიმშვიდებიათ თავი ამ სიტყვებით და არც კი გიფიქრიათ წუთის დიდ მნიშვნელობაზე“, - წაიკითხეს ერთხელ „გაზაფხულის“ ფურცელზე ბავშვებმა. ამან დააფიქრა ისინი და ბევრი სკოლის პიონერულმა რაზმებმა ჩაატარეს რაზმის შეკრებები, ეწვიენ ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს, საკუთარი თვალით ნახეს, ერთ წუთში რამდენ დოვლათს ქმნის მარჯვე ხელები.

„თქვენ როგორ ფიქრობთ?“— პიონერული საფეხურების ირგვლივ კამათს მართავენ მოსწავლეები. როგორ შეიძლება დაძლეულ იქნას საფეხურის ესა თუ ის მოთხოვნა, ვისა აქვს პირად წიგნაკში მოთხოვნათა შესრულების აღნიშვნის უფლება, როგორ ხდება საფეხურიდან საფეხურზე გადაყვანა? ამ საკითხთან დაკავშირებით პიონერები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, საუბრობენ თავიანთ მომავალსა და სურვილებზე.

ნორჩი კორესპონდენტები თავიანთ გულისტკივილსაც გამოხატავენ გაზეთის ფურცლებზე: რატომ არ იშოვება ოქტომბრელის ნიშანი? რატომ არ იდგმება თამარ შავერზაშვილის ოპერა „იავნანამ რა ქნა?“ ნორჩი მხარეთმცოდნეები კი დასძენენ: „რატომ არაა ლადო კეცხოველის სახლმუზეუმი ტყვიავში?“ და სხვ.

ერთხელ, თოჯინების თეატრის ნორჩმა მსახიობებმა სპექტაკლი უჩვენეს მარაბდელ თანატოლებს. მასპინძლებს არ მოერიდნენ და თბილისში ჩამოსვლისას ასეთი წერილი მოიტანეს. რედაქციაში: „ცხრა ძმა ხერხეულიძის საფლავი მოუვლელია“. ინიშნეს მარაბდელმა პიონერებმა, შერცხვათ და აბა, ამის შემდეგ თავს გასაკილად როგორღა გაიხდიდნენ!

რედაქცია ცდილობს კარგად გააშუქოს სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიების მუშაობა, დილები და საღამოები, რაზმისა და რაზმეულის შეკრებები, რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები და მათემატიკური ოლიმპიადები, აგრეთვე შეხვედრები მწერლებთან, მსახიობებთან, კომპოზიტორებთან, მეცნიერებთან, შრომის გმირებთან, სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციებთან. ასეთ საღამოებსა და დილებზე ხშირად ნახავთ ბლოკნოტზე თავდახრილ პიონერებს. ისინი გულდასმით ინიშნავენ რაღაცას. ესენი არიან „გაზაფხულის“ კორესპონდენტები. სარიდაქციო ფოსტაში თითქმის ყოველდღე ნახავთ რაიონიდან მოსულ წერილებს.

„სიხარულით ველით თქვენი გაზეთის „გაზაფხულის“ ყოველი ნომრის მიღებას. გამოგვიგზავნეთ გაზეთები“,— გვწერენ თელავის პიონერთა სასახლის აქტივისტები. „ჩვენ სპეციალური ჩარჩო გავაკეთეთ გაზეთისათვის, რათა იგი ყველასათვის მისაწვდომი იყოს“,—გვაცნობეს ბორჯომელმა პიონერებმა. გაზეთს გვთხოვენ საგარეჯოელი, გორელი, ამბროლაურელი, წალენჯიხელი, საჩხერელი პიონერები. თბილისში გაზეთს მოხალისე ნორჩი



„მოხალისე ფოსტალიონები“—ფატი ქართველიშვილი და ზურაბ კიკნაველიძე ჩქარობენ სკოლაში მიიტანონ „გაზაფხულის“ ახალი ნომერი.

გაზეთის მაკეტზე მუშაობა თანაბრად ეხალისებათ მხატვარ თამაზ ხუციშვილს და ნორჩ კორესპოდენტებს: ქეთინო აბრამიშვილს, ნინო რამიშვილს და ლალი მარაშენიძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოსტალიონები ავრცელებენ. ისინი მოდიან რედაქციაში, გაზეთის გავრცელების რეიულში აღნიშვნას აკეთებენ და ახალი ნომერი მიაქვთ სკოლებში, პიონერთა სახლებში, ბიბლიოთეკებში...

მოხალისე ფოსტალიონებს ყველაზე მეტად ის უხარიათ, როცა მათ ახალი ნომერი მიაქვთ გაზეთის მეგობრებთან: ი. გრიშაშვილთან, გ. ლეონიძესთან, ვ. გოძიაშვილთან, ა. მირცხულავასთან. ისინი ხომ „გაზაფხულის“ რედაქციის მუშაობას კარგად იცნობენ და პატარებს თავიანთ აზრსა და შეხედულებებს უზიარებენ.

გაზეთის ნორჩ კორესპონდენტებთან მეგობრობენ მისი პირველი კორესპონდენტები: რ. ტყემალაძე, მ. გელაშვილი, ნ. ყურაშვილი, ც. დურგლიშვილი და სხვები. ისინი პატარებს მოუთხრობენ თავიანთ საქმიანობაზე, იმ ფაბრიკა-ქარხნებზე, სადაც მუშაობენ, იმაზე, თუ როგორ დაეხმარა მათ გაზეთში მუშაობა ცხოვრების დიდ გზაზე გასვლისას. არ იფიქროთ, რომ მხოლოდ მასალების მიწოდებით ამოიწურება „გაზაფხულში“ მუშაობა. იგი ხომ ჩვეულებრივი გაზეთია: შემოდის მასალები, სწორდება, მასალების მიხედვით მაკეტი დგება, მხატვრულად ფორმდება, გადაბეჭდილ დედნებს შრიფტი ეწერება და სტამბაში იგზავნება, იწყობა, იკვრება, კორექტურა უკეთდება და იბეჭდება. ბავშვები ყოველგვარ საქმიანობაში ღებულობენ მონაწილეობას: ნორჩი მხატვრები— თ. ხუციშვილი, რ. რევაზიშვილი ესკიზებს აკეთებენ. მათი კარიკატურები მხიარული და სხარტია; თ. ჩაჩავა და თ. გუგუშვილი კორექტურას დატრიალებენ თავს.

ქართული სტამბის 300 წლისთავის საიუბილეო დღეებში გაზეთის ნორჩი კორესპონდენტი გ. კაშმაძე იმ სტამბას ესტუმრა, სადაც „გაზაფხული“ იწყობა. რამდენი რამ წაიკითხა მან წინასწარ, რომ სტამბის მუშებისათვის გაეცნო ქართული სტამბის ისტორია. ნორჩმა კორესპონდენტმა „გაზაფხულის“ მკითხველებს გააცნო სტამბის საქმიანობა და ის ადამიანები, რომლებსაც ამაგი მიუძღვით მათ გაზეთზე. ამის შემდეგ სტამბის მუშები პიონერთა სასახლის ხშირი სტუმრები არიან. პიონერები აცნობენ მათ თავიანთ კაბინეტებს, ლაბორატორიებს, იწვევენ დილებსა და საღამოებზე.

რედაქციის ყველა თანამშრომელსა და ნორჩ კორესპონდენტს ერთი სურვილი გვაქვს: გაზეთი „გაზაფხული“ იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო, მკითხველებს მოუთხროს ნორჩ ლენინელთა ცხოვრებაზე, ჩვენს დიდ სამშობლოზე, მის მიღწევებზე.

რ. ირემაშვილი,
გაზეთ „გაზაფხულის“ რედაქტორი

გაზაფხული

წვიმა და სოკო

ქარი მოვარდა უცებ,
სადღაც იქუხა მეხმა.
არ დამტოვოთო, ფურცლებს
წაუჩურჩულა ვერხვმა.

გაწვიმდა, მერე როგორ,
გამხმარი მიწა მოლბა;
არ დავსველდეო—სოკოს
გადაუხურავს ქოლგა.

ჯარიელ ხაფთასი

მაისის წვიმა

რიგრიგობით
წვეთზე წვეთი
მოდიოდა წვიმა ციდან.
ხან ბროლისფრად
შხაკაშხუპით,
ხან მძივებად ცრიდა, ცრიდა.

მაგრამ, ნახეთ, გადაიღო,
წვიმა უკვე აღარ ცრიდა,
დარჩენილი წვეთი მხოლოდ
ვარდის ფრთაზე აციმციმდა.

რევაზ მელაძე

როსტომ ელანიძე ნახ. **რ. ცუცქირიძისა**

ვარძია

(მესხური თქმულების მიხედვით)

მესხეთში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ციცაბო კლდეებში ციხე-სიმაგრე ვარძიაა გამოკვეთილი. აქ თურმე პირველად ორბი ბუდობდა,—საკვირველი ტანისა და ღონის ფრინველი. წყლის სასმელად მტკვრის სათავეში დადიოდა, სანადიროდ — კავკასიონის მთებში. კავკასიისა და შავი ზღვის შუა სივრცე კი სანავარდოდ ჰქონია.

საქართველოს, იმდენ მტერთან ერთად, ისიც მტრად მოჰკიდებია: დაეცემოდა თურმე ხან აქ, ხან იქ, აიტაცებდა კრავს, ან ბავშვს და იმის გზა-კვალს ველარავინ იგებდა.

ერთხელ იმ კლდეების ქვემოთ თავდაღმართში მიდიოდა ახლად წვერულვაშაშლილი მესხი. ცისფერ სირმამოვლებული წყლისფერი ჩოხა და დარაიის ახალუხი თვალისმომჭრელად უელავდა მზეზე. შვილდი და ისრებით სავსე კაპარჭი მხარიღლიე ჰქონდა გადაგდებული. ლაღად მიაქროლებდა თვირთვილას, ტკბილად მიიმღეროდა მხედარი.

უეცრად უცნაური შხუილი შემოესმა,—თითქოს ქარიშხალი ცას მიარღვევსო.

მგზავრმა გარემოს თვალი მოავლო და ნახა, რომ ჯავახეთიდან ნაქალაქევის მხარეზე ვეება ორბი მოფრინავდა. ორბმა მესხისკენ აიღო გეზი.

მგზავრმა შვილდ-ისარი მოიმარჯვა და, როცა დაუპირდაპირდა, მიზანში ამოიღო. ლარს ისე ძლიერად მოზიდა, რომ შვილდის გოზა აჭრიალდა. ,ბს იყო უნდა ეტყორცნა ისარი, მაგრამ უეცრად ძირს დაუშვა: ორბს ბავშვი ჰყავდა ბრჭყალებში ჩაბღუჯული.

მტაცებელმა შეამჩნია თუ არა მგზავრი, უფრო მაღლა აიწია, სწრაფად წავიდა და გორგაშენის გაღმა კლდეებში ჩაიკარგა.

მესხი იმ ადგილას მივიდა. მოიარა კლდეები, სადამდეც თვალი და ფეხი მიუწვდებოდა, მაგრამ ვერა იპოვა რა; მხოლოდ ერთგან, მიუვალ ფლატეში შეამჩნია პატარა მღვიმე ფრინველის სკორეთი ჩამოთეთრებული. ბევრი უტრიალა, მაგრამ ვერსაიდან მიუდგა. ბოლოს ქამანდი ესროლა, მღვიმის თავზე კლდის ქიმებს მოსდო, რამდენჯერმე მოსწია, სიმაგრე შეამოწმა და აჰყვა.

შუა კლდეებამდე რომ მიაღწია, ბავშვის ძახილი შემოესმა: აქა ვარ, ძიაო.

მგზავრს ძალ-ღონე მოემატა, საკუთარი გულის ცემა შემოესმა, აჩქარებული, სიფრთხილით მიჰყვებოდა ქამანდს.

მაღლიდან კლდის ნაფშვენები ცვიოდა. მოსისინებდა ქარი.

ბავშვი განუწყვეტლივ გაიძახოდა: ვარ, ძია... აქა ვარ, ძია... მიშველეთ...

მესხი მიუახლოვდა მტაცებლის სადგომს. ორბმა იგრძნო საფრთხე, მღვიმიდან გამოხტა და მომხდურს შეუტია. მღვიმეში შესვლას არ ანებებდა.

ჭაბუკის ხელში მახვილი აელვარდა, რამდენჯერმე დაკენწლა მოწინააღმდეგე.

ამ დროს მტკვრის ხეობაში ცხენოსანთა ჯგუფი გამოჩნდა. იმ ადგილს რომ მიუახლოვდნენ, შენიშნეს ვაჟისა და ორბის ბრძოლა, თან ბავშვის ძახილი შემოესმათ: აქა ვარ, ძია...

ვერაფერს მიხვდნენ. გაოცებული შეჰყურებდნენ კლდეს.

მესხი მღვიმეში შეიჭრა. კარებში სწრაფად მოტრიალდა და მისკენ გამოქანებულ ორბს ისარი ჰკრა. ისარმა მტაცებლის გულში ისე გაიარა, რომ ფრთებს სისხლიც კი არ მოსცხებია, მგზავრებს თავზე შხუილით გადაუარა და მტკვრის მეორე მხარეზე გადაიკარგა.

ფრთებდაკეცილი ფრინველი ლოდივით დაეშვა თავქვე და მგზავრების წინ დაეცა.

მესხი მღვიმის სანახაობამ გააოცა, იქაურობა ძვლებით იყო მოფენილი. ხუთი-ექვსი წლის ბიჭი დასისხლიანებული იწვა ორბის მიერ გამოხრული ჩონჩხების გროვაზე. კვნესოდა და გაიძახოდა: ვარ, ძია... აქა ვარ, ძია... მიშველეთ...

ჭაბუკმა ქამანდი მაღლა აიტანა, ორბის ტყვეს წელზე შემოანასკვა და ფრთხილად დაუშვა ძირს.

გონწასული ბავშვი ისევ ბურანში იყო და ერთსა და იგივეს გაიძახოდა: ვარ, ძია... აქა ვარ... მიშველეთ.

კლდის ძირას გაჩერებულ მგზავრებიდან პირველად ქალი მივიდა ბავშვთან, შეხსნა ქამანდი, ბალახზე დააწვინა და ჭრილობები გაუსინჯა. გვერდები ორბის ბრჭყალებით ჰქონდა დაღადრული და ნაკორტნი მკერდიდან სისხლი სდიოდა,

როცა ქამანდი განთავისუფლდა, მესხი თითონაც ნელა დაეშვა თავქვე.

ჩამოსვლისთანავე თამარ მეფე და მისი ამალა შეიცნო ჭაბუკმა. მივიდა ახლოს, მოწიწებით მიესალმა, მეფის წინ მუხლი მოიდრიკა, კალთაზე ეამბორა.

თამარმა ხელი მოჰკიდა, წამოაყენა და უთხრა: მადლობა მესხეთის მიწას შენი გაზრდისთვის... ბავშვს ჩვენ წავიყვანთ. შენ სასახელოდ მას სიცოცხლესა და მშობლებს დაეუბრუნებთ. ვეტყვით ვინც გადაარჩინა... შენ კი ორი დღის შემდეგ სამეფო კარზე გამოცხადდიო...

ვაჟმა ორბს მარჯვენა მხარზე ორი ფრთა გამოაძრო და მტკვრის ხეობაში ისევ პირდაღმა განაგრძო გზა.

ამღერდა მესხის გული, ამღერდა და იმ ორბის ფრთით დასწერა სწორუპოვარი უკვდავი სიმღერა. იგივე ორბის ფრთა ბოლომდე ქუდით ატარა მომღერალმა.

თამარ მეფემ ერთი კვირის შემდეგ ორბის ნაბუდარ კლდეს ურიცხვი მუშა და ხელოსანი მიაყენა.

ახმაურდა მტკვრის ხეობა. კლდეებს ზრიალით სცვივოდა ლოდები. ერთი წლის განმავლობაში გამოსჭრეს სამას სამოცდაექვსი ოთახი. გარედან მხოლოდ ერთი შესავალი გაუკეთეს. შესავალს ზედიზედ სამი კარი შეაბეს. გარედან ორი, ფოლადისა, შიგნიდან ერთი, ოქროსი, და სახელად „ვარძია“ დაარქვეს.



უმკრეოსი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ნანული, მითხარი, რა დაიბარა დედიკომ, ქარხანაში რომ მიდიოდა?—და რადგან დედოფალა ნანული არც ახლა იყო ლაპარაკის გუნებაზე, თამრიკომ თვითონვე დაუმატა:—თამრიკო არ მომიწყინოთ, ყურადღება მიაქციეთო. ესენი კი!..

განაწყენებულმა თამრიკომ თოჯინა დაითრია და მამისაკენ წაცუნცულდა.

— ვითამაშოთ, რა!

— წყნარად, თამრიკო! ნინოს ხელი ეშლება.

თამრიკომ იყუჩა, მაგრამ, დუმილი დიდ ხანს ვერ აიტანა.

— მამიკო, „წითელქუდას“ კითხულობ?

— არა.

— „წიქარას?“

— არც „წიქარას“.

— სულერთია, წამიკითხე, რა!

— ვერ გაიგებ, შვილო.

ცნობისმოყვარე გოგონა გაიბუტა.

დავითმა კი გაზეთში მოთავსებულ სურათს დახედა და გაეღიმა—სად ხუთი წლის თამრიკო და სად ევგენი პრონკინის ამბავიო. თითის გაქნევით თამრიკოს შუბლზე კულულები ჩამოუშალა და უთხრა:

— ნინო მოიცლის და ზღაპრებს წაგიკითხავს. პრონკინს კი შენ ვერ გაიგებ.

— მამიკო, ვინ არის პრონკინი?

— იგი მოსკოვში ავტომობილებს აკეთებს.

— დიდებს?

— ჰო, დიდებს, ნამდვილებს, ქუჩაში რომ მანქანები დაჰქრიან, ისეთებს.

ნინომ რვეულები ჩანთაში ჩაალაგა, წიგნები თაროზე შეაწყო და ხმამაღლა თქვა:

— გაკვეთილები დავამზადე, ზეგის საზეპიროც ვისწავლე.

მერე თამრიკოსთან თამაში დააპირა, მაგრამ ძახილი მოესმა და ყელსახვევის სწორებით დერეფანში გავიდა. ლეილა იყო, მისი თანაკლასელი და კარის მეზობელი. განტოლებიანი მაგალითის ამოხსნა გასჭირვებოდა, დახმარება თხოვა.

გაკვეთილები ჯერ არ მისწავლია,—ცივად მიუგო ნინომ და დამრიგებლური კილოთი განაგრძო:—დამიჯერე, ასე შორს ვერ წახვალ. როდემდის გინდა სხვის იმედზე ყოფნა?

— ნინო!—შეაწყვეტინა ლეილამ,—მაგალითის გამოყვანას არ გთხოვ, მხოლოდ ამიხსენი, შენ ხომ მათემატიკა გეადვილება, დამეხმარე, იქნებ სამიანი გამოვასწორო. დანარჩენებში...

— არა, გეთაყვა, აუცილებელი როდია ყველა ხუთოსანი იყოს. მეტი იმეცადინე, ნაკლები იცულლუტე, თვითონ იმტვრიე თავი...

ლეილამ ნაღვლიანად შეანათა თვალები და თავის თავს პირობა მისცა, რომ მასთან სათხოვნელად არაფერზე არ მისულიყო.

უკან შემობრუნებული ნინო მონუსხულივით შეჩერდა—თამრიკოს მათი ლაპარაკისთვის ყური მოეკრა და თუთიყუშივით იმეორებდა: „იმეცადინე, ნაკლები იცულლუტე, თვითონ იმტვრიე თავი“. მეტი ვეღარ გაიხსენა და ნინოს მიმართა: —მერე, ნინო, მერე როგორ უნდა ვუთხრა?

ნინო ერთიანად გაწითლდა.

— ენა გააჩერე, თამრიკო.

დავითმა კითხვას თავი ანება:

— თამრიკო, მოდი, ვითამაშოთ.

— მოდი.

— „სკოლობანა“ გინდა?

— რომ არ ვიცი?

— გასწავლი.

მამამ თამრიკო ტახტზე აიყვანა, გვერდით დედოფალა მოუსვა.

— ეს სკოლაა. შენ და ნანული მეშვიდეკლასელი პიონერები ხართ.

— როგორც ნინო?

— ჰო, როგორც ნინო. ნანული სამოსანია, თამრიკო მოწინავე და ხუთოსანი.

— მე ვარ ხუთოსანი, არა, მამიკო?—პატარამ საჩვენებელი თითი მკერდზე მიიდო და დედოფალას ამაყად გადახედა.

— დიახ, შენ. ამიტომ თავისუფალ დროს ნანულის ეხმარები, ამეცადინებ. პიონერები ამ ამბავს რომ გაიგებენ, აუცილებლად მოგბაძავენ, თქვენი კლასი თითით საჩვენებელი გახდება.

დავითმა მზერა მაგიდასთან თავჩაქინდრულ ნინოსაკენ გააპარა და განაგრძო:

— ასე მოიქცა პრონკინიც,—გაზეთში რომ ჰხატია. მან იფიქრა, მე უმაღლესი განათლება მაქვს, ჩვენი ქარხნის მუშებს კი მხოლოდ საშუალო სკოლაში უსწავლიათ; მოდი, მათ მივეხმარები, ავუხსნი, ვამეცადინებ, სწავლას გავაგრძელებინებ. თქვა და უკან არ დაუხევია. დაიმახსოვრე, ჩემო გოგონა, რაც უფრო მეტი მცოდნე და განათლებული ადამიანი ეყოლება ჩვენს ქვეყანას, მით უფრო ლამაზი იქნება ჩვენი ცხოვრება.

თამრიკო გაუნძრევლად იჯდა. ძნელი სათქმელი იყო, რომელს უფრო გაოცებული გამოხედვა ჰქონდა, მას თუ პირმოკუმულ დედოფალას. დავითმა სიცილი ძლივს შეიკავა.

— გატყობ, ვერ გაიგე,—უთხრა და „დედაენა“ მიაწოდა.

— ამ წიგნში შენ უკვე კითხულობ – აი ია, ია, აი... თამრიკომ დაუდასტურა.

— ძალიან კარგი. შენმა ნანულიმ კი არ იცის. თუ „აი იას“ ასწავლი, მაშინ შენ ნამდვილი პრონკინელი იქნები.

თამრიკოს ახლა კი გაუნათდა სახე. ნანულის ხელი სტაცა, კალთაში ჩაისვა და მაშინვე შეუდგა მისთვის ანბანის შესწავლას:—აი ია, ია, აი...

უფროს დას არაფერი გამოჰპარვია. სახეზე თანდათან ალისფერი წაეკიდა. ბოლოს რაღაც გადასწყვიტა, თაროდან მათემატიკის წიგნი გადმოიღო და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

დიდხანს „ამეცადინებდა“ თამრიკო დედოფალას. კარგა ხნის შემდეგ, როდესაც ნინო დაბრუნდა და დაიკოს დასაძინებლად ამზადებდა, თამრიკომ ერთხელ კიდევ იკითხა:

— მამიკო, მე ვინა ვარ?

— პატარა პრონკინელი!—უპასუხა მამამ და კმაყოფილებით შეხედა ჯერ მას, მერე ნინოს, რომელსაც თავი მორცხვად დაეხარა.

კარლო ლუარსაბიშვილი

ნახ. **გ. თოთიბაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლექსა იუმჩენკო

ენძელები

ყვავილებში პირველებმა
გაახილეს თვალი,
ლაჟვარდ ზეცას შეაშუქეს
მზერა მხიარული.
მიწის გულში ჩაჩხრიალებს
თოვლის გრილი წყალი,
ჰოი, ახლა რა კარგია
ტყეში სიარული.

აგერ, ტყეშიც შემოფრინდა
გაზაფხულის ქარი,
შეიშმუშნა ფესვი ხისა,
შეხე, კვირტსაც ჰღვიძავს.
ენძელებმა სიხარულით
გაახილეს თვალი,
პირველები მიესალმნენ
თავის მშობელ მიწას.

მერცხალი

თბილ ღამეში, მთვარიანში,
მიწა თვლემდა ტკბილად,
მერცხალმა ცას გაჰკრა ფრთა და
მოიყვანა დილა.

ცისარტყელა

ცისარტყელა დიდზე-დიდი,
ცაზე მოჩანს როგორც ხიდი.
რა იქნება, დიდ-პატარა
იმ ჭრელ ხიდზე გაგვატარა.

უკრაინულიდან თარგმნა
ო. ჯანგულაშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერეიდანელი ქართველი ბავშვები

თქვენ ალბათ იცით, რომ 1614 წელს, სპარსეთის შაჰმა შაჰ-აბასმა ააოხრა საქართველო, მრავალი ქართველი მოსწყვიტა მშობლიურ მიწას და სპარსეთის შორეულ კუთხეში—ფერეიდანში გადაასახლა.

1944 წელს მე მომიხდა ფერეიდანში ჩასვლა და ყველაფერი ის, რასაც თქვენ მოგიყვებით, ჩემი თვალით ვნახე.

დილის 6 საათი იქნებოდა, როცა სოფელ ჩულურეთიდან გავემგზავრეთ იქვე ახლო მდებარე სოფელ ფორელში, სადაც ქართველები ცხოვრობენ. ფერეიდანში ქართულ სოფლებს სახელებიც ქართული აქვთ: „მარტყოფი“, „ნინოწმინდა“, „გიორგიწმინდა“, „რუისპირი“, „ვაშლოვანი“, „ბოლნისი“... სანამ ფორელს დავათვალიერებდით, გადავწყვიტეთ შეგვევლო მეჩეთის ეზოში, სადაც წინათ ქართველთა ეკლესია ყოფილა. ახლა ამ ეზოში სოფლის მოლა ონიკაშვილი ბავშვებს ამეცადინებს. ისიც მხოლოდ ზაფხულობით, რადგანაც შენობა არ გააჩნიათ და ზამთრის დღეებში შეუძლებელია ეზოში მეცადინეობა.

ჩვენც სწორედ მეცადინეობის დროს მივედით იქ. ის, რაც ჩვენ იქ ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს აღემატებოდა: სხვადასხვა ასაკის ბავშვები მიწაზე ფეხმორთხმით ისხდნენ, შეძლებული ოჯახის შვილებს კი ქვეშ ფარდაგები ჰქონდათ დაფენილი. ბავშვების უმეტესობას დაკონკილი ტანსაცმელი ეცვა. ისინი სუსტნი და ფერმკრთალნი იყვნენ. ამ სკოლაში კლასებად დაყოფა არ არის; მოზრდილსაც და პატარასაც მოლა ონიკაშვილი ერთსა და იმავე გაკვეთილს უხსნის. ბავშვები მხოლოდ სპარსულ წერა-კითხვას სწავლობენ, ქართული ენის საშუალებით.

ბავშვებს არ გააჩნიათ წიგნები, რვეულებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ოთხ—ხუთ ბავშვს ერთი წიგნი უჭირავს ხელში და ერთსა და იმავე დროს იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვებს. ეს ყოველივე აუტანელი სიღარიბის ბრალია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლას ერთადერთი მიზანი აქვს: როგორმე დაავიწყოს ბავშვებს ქართული ენა, აზიაროს ისინი ისლამის რჯულსა და სპარსულ ენას. მაგრამ ფერეიდანელებს ახსოვთ 1929

წელი, როდესაც მათი თვისტომი — სეიფულა იოსელიანი საქართველოდან ფერეიდანში დაბრუნდა და თან ქართული სახელმძღვანელოები ჩამოიტანა, რათა ფერეიდანელი ბავშვებისათვის მშობლიური ენა და წერა-კითხვა ესწავლებია. სეიფულა იოსელიანმა გახსნა ქართული სკოლა და ეს დღე ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქცა ფერეიდანელი ქართველებისათვის. ისინი სიხარულითა და იმედით შეხვდნენ ქართული სკოლის დაარსებას. ამას ისიც მოწმობს, რომ თუ პირველ დღეს გაკვეთილს სამოცი კაცი და ბავშვი დაესწრო, ერთ თვეში მათი რიცხვი 1500-მდე გაიზარდა. მაგრამ, სამწუხაროდ, იქაურმა ჟანდარმერიამ სეიფულა იოსელიანის მოწამვლა მოახერხა. მისი სიკვდილის შემდეგ ქართულ სკოლას სათავეში ჩაუდგა სეიფულა იოსელიანთან ერთად საქართველოში ნამყოფი აქბა ონიკაშვილი, მაგრამ მისი მოღვაწეობაც ხანმოკლე გამოდგა: იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და დღემდე არავინ იცის მისი ბედი.

ასე დაიშალა ქართული სკოლა ფერეიდანში.

განა სათამაშოდ გადიან მინდორში ფერეიდანელი ქართველი ბავშვები. ისინი გაფაციცებით დაეძებენ ბალახს, რომ მშიერი კუჭი ამოივსონ...

თქვენს ტოლ ფერეიდანელებს სულაც არ გააჩნიათ ბავშვური ხალისი. გამხდრები, ფერმკრთალები, ნაღვლიანი თვალებითა და დაკონკილი ტანსაცმელით, ისინი მეტად მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებენ. შიმშილმა და სიღატაკემ იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ საკვებში პირუტყვებს ეცილებიან. მოზრდილი ბავშვები დილით სოფლის ნახირზე ადრე გადიან მინდორში, რომ ბალახის შეგროვება მოასწრონ, თვითონაც დანაყ-

აი, როგორ გამოიყურება მოლა ონიკაშვილის სკოლა. არც წიგნი, არც რვეული. ერთი წიგნი გადადის ხელიდან ხელში.

რდნენ და ოჯახშიც მიიტანონ. სწორედ ეს სავალალო მომენტი აღბეჭდა ფირზე ჩვენმა კინოოპერატორმა ა. სემიონოვმა.

მართალია, შაჰ-აბასი დიდი ხანია გარდაიცვალა, მაგრამ მისი ულმობელი კანონები კიდევ ძალაშია. ფერეიდანელი ქართველები კვლავ განიცდიან დევნას. მათ უკრძალავენ ქართული წიგნებისა და ხელნაწერების შენახვას. სპობენ და ანადგურებენ ყველაფერს, რაც მშობლიურთან, ქართულთანაა დაკავშირებული. მრავალი ქართული წიგნი ჩაიფერფლა ფერეიდანში, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ვერ იქნა და ვერ ჩაკლეს მათ გულში.

ჩვენ, ფერეიდანელ ქართველებს თქვენი სახელით, საბჭოთა საქართველოს ბავშვების სახელით ჩავუტანეთ ქართული წიგნები: „დედაენა“, რვეულები, ფანქრები, საწერ-კალამი, ხუთი ცალი პატეფონი, ქართული სიმღერების ორასი ფირფიტა.

შორეული სამშობლოს სიმღერებმა მეტად მოხიბლა ფერეიდანელთა გული. მართალია, მათ ქართული სიმღერები კარგად არ ახსოვთ, მაგრამ „იავნანამ“ საუკუნეებს გაუძლო და დღესაც ბანიანი სახლის წინ ქართველი დედა შვილის აკვანს „იავნანას“ დაღუღუნებს.

სანამ ფერეიდანიდან წამოვიდოდით, ფერეიდანელ ბავშვებს ორი ქართული სიმღერა: „სულიკო“, და „იზარდე მწვანე ჯეჯილო“ შევასწავლეთ. ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში თითქმის ყველა ბავშვმა იცოდა ეს ორი სიმღერა.

როცა ქართულ სოფლებში გავლა გვიხდებოდა, ბავშვები, როგორც კი მანქანის ხმას გაიგონებდნენ, გამორბოდნენ შარაზე და „სულიკოს“ და „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ მღეროდნენ. ვფიქრობ, რომ ეს სიმღერები დიდხანს ემახსოვრებათ ფერეიდანელ ქართველებს.

ირაკლი ქანდელაკი

კინორეჟისორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი ოკეანის ფსკერზე

წყალში ახლოდე მეტრამდე ჩაყვინთვა რომ ეხწავლა, ამისათვის ადამიანს მილიარდნახევარი წელიწადი დასჭირდა. ხულ რაღაც 25 წლის წინ ახი მეტრის სიღრმე მიუწვდომელი იყო არა მარტო მყვინთავებისათვის, არამედ წყალქვეშა ნავებისათვისაც კი, ხამაგიეროდ, ამ ოცდახუთ წელიწადში ადამიანმა ახჯერ უფრო ღრმად ჩაიხედა წყლის სიღრმეში. დიდ სიღრმეში ყვინთვის ერთ-ერთი პიონერი ბელგიელი პროფესორი ოგიუსტ პიკარი იყო. მასზე ჯერ კიდევ 1931 წელს ალაპარაკდნენ, როდესაც იგი მენდელეევის თეორიის მიხედვით აგებული, ჰერმეტულად დახურული გონდოლით 16 ათას მეტრზე ავიდა ჰაერში. იმ წლებში ეს მართლაც რომ ფანტასტიური ამბავი იყო. მომდევნო წელს პიკარი 180 გრადუსით შემობრუნდა და, თუ აქამდე სიმაღლის დამპყრობად ითვლებოდა, ახლა ოკეანეში ჩაეშვა ყველაზე ღრმად. მან პირველმა ააგო ბატისფერო—ფოლადის ბურთი, რომელიც დიდ წნევას უძლებდა, და ამ ბურთით 900 მეტრის სიღრმეზე ჩაეშვა ოკეანეში.

ახლა ოგიუსტ პიკარის საქმეს მისი შვილი—ჟან პიკარი განაგრძობს. მან შექმნა ახალი, თვითმავალი ბატისკაფი. იგი დირიჟაბლის ფორმისაა, ხიგარის მსგავსი მისი მთავარი კორპუსი ბენზინით არის სავსე (რადგან ბენზინი წყალზე ბევრად მსუბუქია); მთავარ კორპუსს ქვემოდან მიმაგრებული აქვს სფერული გონდოლი, სადაც ადამიანებთან ერთად აპარატურაც არის მოთავსებული. ბატისკაფი რომ საჭირო სიღრმეს მიაღწევს, იგი თავისუფლდება მძიმე ტვირთის—თუჯის ფილებისაგან და შემსუბუქებული მანქანა თავისუფლად ამოდის წყლის ზედაპირზე.

გასულ წელს პროფესორმა პიკარმა 4050 მეტრის სიღრმეს მიაღწია. 1959 წლის ბოლოს პიკარი და მისი ერთი მეგობარი უკვე 5500 მეტრის სიღრმეზე ჩავიდნენ ოკეანეში. „300 მეტრამდე,—სწერენ მეცნიერები,—მზის შუქით განათებული წყალი მთლად ცისფერი იყო, მაგრამ 450 მეტრის შემდეგ იგი მთლად გაშავდა. შემდეგ კი ბატისკაფის გარშემო გამეფებულ უკუნ ხიბნელეში მხოლოდ ნათელთევზები და ფოსფორული ცხოველები გაიელვებდნენ“.

...აი, გავლილია ადრე მიღწეული სიღრმე—4050 მეტრი. ჩაშვება გრძელდება. ამ სიღრმეზე ადამიანი ჯერ არასოდეს ჩახულა... ხელსაწყოები უჩვენებენ სიღრმეს: 4100, 4500, 5000, 5500 მეტრს... ბატისკაფმა ლამით დაფარულ ოკეანის ფსკერს მიაღწია.

ხულ ახლახან, როდესაც ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი დასაბეჭდად იყო გამზადებული, პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ პიკარმა ბატისკაფ „ტრიესტით“ 7300 მეტრ სიღრმეს მიაღწია, ხოლო შემდეგ უკვე „ზლაპრული“ სიღრმე—11 000 მეტრი დასახლია. (ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ასეთ სიღრმეში წყლის წნევა ისე დიდია,— თოფიდან გასროლილი ტყვია ლულას ვერ გამოსცილდება).

ფრანჩესკო

ელი ალექსიუ
ბერძენი მწერალი ქალი

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

მოთხრობა

ჩემს კლასში—ქალთა დაწყებითი სკოლის პირველ კლასში ერთი სასაცილო არსება იჯდა. ეს იყო ფრანჩესკო. მისი განსაკუთრებული მდგომარეობა გოგონების ძლიერ ინტერესს იწვევდა.

ფრანჩესკო არ იყო მოსწავლე, ჩემი პედაგოგიური კონტროლი მასზე მთლიანად არ ვრცელდებოდა და ეს ბადებდა მასში ურჩობას. მაგრამ, აბა, რა უნდა მეღონა.

ოთხი წელი არც თუ ისე დიდი ასაკია. ძალიანაც რომ მომენდომა, მე ვერ ვაიძულებდი მას შეესრულებინა სკოლის ყველა განაწესი. ამისი ცდაც კი ცოდვა იქნებოდა!

წარმოიდგინეთ სასაცილო, უწარბო სახე, ოდნავ პაჭუა ცხვირითა და დიდრონი შავი თვალებით, თითქმის უკბილო პირი, გაპარსული თავი. ფრანჩესკოს სახე წლის ყველა დროის ნაკვალევს ატარებს: ზაფხულის მზე ჯერ არ გადასცილებია, და უკვე დაუწვავს ზამთრის სუსხს; ის მუდამ დაკაწრული, ჩალურჯებულ-ჩალილავებული დადის. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა ფათერაკს, რაც კი ღარიბი კაცის შვილს ელის, მასზე თავისი ანაბეჭდი დაუმჩნევია.

ფრანჩესკო ერთადერთი ბიჭი იყო სკოლაში და ჩემი კლასის გოგონები მას გარკვეული სიფრთხილით ეკიდებოდნენ.

მისმა დედამ, გაჭირვებულმა ქვრივმა, რომელიც მთელ დღეებს სხვისი სარეცხის რეცხვაში ატარებდა, მთხოვა, ბიჭუნასათვის სკოლაში სიარულის ნება დამერთო;

— ძალიან მადლობელი დაგრჩებით, ქალბატონო ელი. დასვით სადმე კუთხეში, ოღონდაც ქუჩაში ნუ ირბენს და ცუდს ნუ ისწავლის. ჩემი გოგონაც თქვენს სკოლაში სწავლობს და ბარემ ერთად ივლიდნენ...

მე დავთანხმდი და მეორე დღეს ფრანჩესკო სკოლაში გამოცხადდა. ამის შემდეგ იგი ყოველდღე მოდიოდა თავის და მარგარიტასთან ერთად, რომელიც ჩვენთან მეოთხე კლასში სწავლობდა. სკოლის ეზოში ბავშვები ცილდებოდნენ ერთმანეთს და თავთავიანთ კლასებში მიდიოდნენ. ფრანჩესკო ჯერ კიდევ პარმაღიდან ხმამაღლა დაიძახებდა «გამარჯობათო» და სერიოზული სახით გაეშურებოდა თავისი ადგილისაკენ.

ხანდახან მას ავიწყდებოდა თავისი საზღვაო ბერეტის მოხდა; ეს იყო ბევრის მნახველი და გადამტანი ბერეტი, რომელსაც დიდი ხანია დაეკარგა ყველა მისი საზღვაო ემბლემები. ბერეტი პატარა ქონდა, ამიტომ ფრანჩესკო მას ყურებამდე ჩამოიფხატავდა ხოლმე და, როცა მოხდა დაჭირდებოდა, მთელი ძალით ეწეოდა მაღლა. თუ მოახერხებდა და მოიხდიდა, დაუდევრად ისროდა ხოლმე სადმე ფანჯრის რაფაზე.

როდესაც ქუდის მოხდა ავიწყდებოდა, გოგონები შეახსენებდნენ:

— ეი, ეი, ისევ ქუდით ჯდები?..

და თუ გოგონებსაც ავიწყდებოდათ შეხსენება, რაც ძალიან ხშირად ხდებოდა, მაშინ ფრანჩესკო მთელი დღე ბერეტდახურული დაბრძანდებოდა.

— ქალბატონო მასწავლებელო, ფრანჩესკომ დაიძინა!—მიყვიროდნენ გოგონები.

ფრანჩესკო ვერაფრით ვერ აყოლებდა მათ ფეხს, უკან რჩებოდა და ბოლოს, სადღაც კუდში მიჩანჩალებდა.

როგორც კი დაჯდებოდა, მერხზე ხელებს ჯვარედინად დააწყობდა, ზედ თავს ჩამოსდებდა და ძილს მიეცემოდა.

— ქალბატონო მასწავლებელო, ფრანჩესკომ დაიძინა— მიყვიროდნენ გოგონები.

— არ გააღვიძოთ!—ვეუბნებოდი მათ.—ის ჯერ კიდევ ძალიან პატარაა. იძინოს.

მე კარგად მესმოდა, რა ძნელი იყო პატარა, ოთხი წლის ბავშვისათვის ყოველდღიურად, და ისიც ზამთარში, სკოლაში რვა საათისათვის მოსვლა. ხოლო მეოთხე კლასი, რომელშიც ფრანჩესკოს და სწავლობდა, მეცადინეობას ჩვენზე ხშირად ერთი, ანდა მთელი ორი საათით ადრე იწყებდა. და საწყალ ფრანჩესკოს, იმისათვის, რომ დასთან ერთად მოსულიყო, გათენებამდე უხდებოდა ადგომა.

რასაკვირველია, მას ძალიან უნდოდა ძილი, და მე ამის ნებას იმის გამო ვაძლევდი, რომ, როცა ფრანჩესკოს არ ეძინა, ის არავის არ ასვენებდა. გოგონებს ნაწნავებზე ქაჩავდა, ტაცებდა ფანქრებს, შლიდა მათ ნახატებს.

პირველ გაკვეთილზე ბავშვები, ჩვეულებრივ, რიგრიგობით მიყვებოდნენ საშინაო დავალებას, და მე ვამოწმებდი მათ წერით ნამუშევრებს. ვცდილობდი, ერთიცა და მეორეც წყნარად, უხმაუროდ მეკეთებინა, რომ მძინარე ფრანჩესკო არ გამეღვიძებინა. შემდეგ ვიწყებდი, ახალი გაკვეთილის ახსნას. ბერძნული ენის სწავლება პირველ კლასში საინტერესოა, მაგრამ ძნელი. ეს თხოულობს მასწავლებლისაგან არა მარტო შეუნელებელ ყურადღებას, არამედ ნამდვილ ოსტატობასაც. მასწავლებელს უნდა შეეძლოს ბავშვის ყველა გრძნობის—სმენის, მხედველობის, შეხების მობილიზება. ამის გარეშე ბავშვის ჩამოუყალიბებელ ცნობიერებაში არაფერი არ დარჩება.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ფრანჩესკოს ეძინა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ბავშვები აითვისებდნენ გაკვეთილს და მე მინდოდა მისი განმტკიცება მათ მეხსიერებაში, იწყებოდა ხმაური. ბავშვებისათვის ხომ ნამდვილი დღესასწაული დგებოდა, თუ ისინი გრძნობდნენ, რომ დაძლიეს მორიგი წინააღმდეგობა, შეითვისეს რაღაც ახალი!

ახლა მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად, სიხარულით იმკიან თავიანთი შრომის ნაყოფს. ოცდაათი პირი ზეიმით იმეორებს: რო-კა, რო-კა*).

ამ ხმაურისაგან ფრანჩესკო კრთებოდა და იღვიძებდა. ნახევრადმძინარე ცდილობდა მონაწილეობა მიეღო საერთო ხმაურში. იგი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო რაშია საქმე და ისე იწყებდა ახალი სიტყვის გამეორებას, თან ცდილობდა, როგორმე სხვებს არ ჩამორჩენოდა და მათთვის შეეწყო ხმა. მაგრამ ხშირად ამას ვერ ახერხებდა და მისი ხმა განსაკუთრებით მკვეთრად გამოირჩეოდა—რაც არ უნდა იყოს, ეს ბიჭის ხმა იყო.

— ქალბატონო მასწავლებელო, უთხარით ფრანჩესკოს, გაჩუმდეს; ასე შეუძლებელია, ყველას გვიშლის,— ჩიოდნენ გოგონები.

ფრანჩესკო კი დაჟინებით ცდილობდა ეთამაშა ნამდვილი მოსწავლის როლი. გაკვეთილის ერთხმად გამეორება, მისი აზრით, იძლეოდა პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების ყველაზე ფართო შესაძლებლობას, და ამას განსაკუთრებული გატაცებით აკეთებდა.

*) თითისტარი (ბერძნულად)

არც სხვა გაკვეთილებზე უნდოდა ფრანჩესკოს კლასს ჩამორჩენოდა და პატივმოყვარეობით შეგულიანებული, ყველაფრით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ «არაა სხვაზე ნაკლები!»

მან სადღაც იპოვა გრიფელის დაფის ნატეხი. მე მივეცი ცარცის ნაჭერი და როგორც კი ვიტყოდი: «მოამზადეთ დაფები»-მეთქი, ფრანჩესკო უმალვე სერიოზულ სახეს მიიღებდა და სანიმუშო მოსწავლის მონდომებით იღებდა თავისი ჩითის აბგიდან კარნახისათვის საჭირო ნივთებს. ყველანი წერდნენ კარნახით, წერდა ისიც.

მას არ აინტერესებდა რას წერდნენ კლასში. ის ხაზავდა წრეებს, ხაზავდა, ვიდრე დაფის ორივე მხარეს არ ააჭრელებდა. სიმღერის გაკვეთილზე ხომ ყველაზე სანიმუშო იყო. მისი ხმა მკვეთრად ირჩეოდა გოგონების გუნდში: რაც არ უნდა იყოს, ის «მამაკაცი» იყო.

ხატვის გაკვეთილზეც ფრანჩესკო თავს ისე იჭერდა, თითქოს ესმოდა რაზე იყო ლაპარაკი. თუმცა ძლივსძლივობით არკვევდა რას ვხატავდით.

მხოლოდ ფიზკულტურის გაკვეთილზე ხდებოდა ცხადი, რომ ის არ იყო ნამდვილი მოწაფე. მწყობრში ფრანჩესკო ყველაზე ბოლოს მიჩანჩალებდა, პატარა და ეული. გოგონები ორმწკრივად, მწყობრად, ფეხშეწყობით მიაბიჯებდნენ, ფრანჩესკო კი ვერაფრით ვერ აყოლებდა მათ ფეხს, უკან რჩებოდა და ბოლოს, სადღაც კუდში მიჩანჩალებდა.

როგორც კი შეამჩნევდა, რომ ჩამორჩა, გაიქცეოდა და ისევ ბოლოში აეკიდებოდა, მაგრამ მალე ისევ ჩამორჩებოდა და ქოშინით გარბოდა დასაწევად. მისი წამება მხოლოდ გაკვეთილის ბოლოს მთავრდებოდა. მაშინ ის, დაღლილი, ძლივს ითქვამდა სულს, მაგრამ მაინც კმაყოფილებით იღიმებოდა. არც ადგილზე სიარული შეეძლო, არ ესმოდა რა უნდა გაეკეთებინა და იმის ნაცვლად, რომ რითმულად აეღო და დაედგა ფეხი, უშნოდ ისროდა ტლინკებს.

მაგრამ ყველაზე თავშესაქცევი მაინც არითმეტიკის

— თუ თქვენ გეუხერხულებათ მისთვის ამის თქმა, გადაეცით მის დას, რომ ეს ჩემი ბრძანებაა.

გაკვეთილი იყო. მოსწავლეებს დავავალე ასანთის კოლოფით ლობიო მოეტანათ.

ლობიო ფრანჩესკოს აუწერელ სიამოვნებას ანიჭებდა. მაშინ, როდესაც დანარჩენები აწყობდნენ მარცვლებს და დაძაბულად ფიქრობდნენ, რომელი უფრო მეტია—ექვსი თუ შვიდიო, იგი ლობიოს მარცვლებს როგორც მოესურვებოდა ისე აწყობდა. თამაშობდა «ჯარისკაცობანას», ან სხვა რამეს, რაც თავში მოუვიდოდა...

როცა კლასში ზღაპარს ყვებოდნენ, ის თხუთმეტიოდე წუთი დიდი ყურადღებით უსმენდა, შემდეგ კი იღლებოდა და ყურადღება ეფანტებოდა, გამომწვევად ასწევდა თავს, ყველას ზურგს შეგვაქცევდა და ფანჯრისკენ მიბრუნდებოდა; ხანდახან პურის ნატეხს ამოიღებდა და ღეჭვას დაუწყებდა. თან ფანჯარაში იყურებოდა, ამით გაჰყავდა დრო.

როცა ვთხოვდი, სახლიდან მეცადინეობისათვის რაიმე მოეტანა, ფრანჩესკო შეწუხდებოდა, არ იყო დარწმუნებული, რომ შესძლებდა ამის შესრულებას.

— ხვალისთვის არ დაგავიწყდეთ ძაფისა და ნემსის მოტანა, კერვას ვისწავლით,—ვამბობდი მე.

მეორე დღეს ფრანჩესკო პირველი წამოდგებოდა და დაიწყებდა თავის მართლებას:

— ქალბატონო მასწავლებელო, მე ვთხოვე დედას ნემსი და ძაფი, მაგრამ არ მომცა. რაში გჭირდებაო კერვა.

ხანდახან შევნიშნავდი ხოლმე:

— ბავშვებო, რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ ჭუჭყიანი ხელებით არ მოხვიდეთ სკოლაში.

ფრანჩესკო მაშინვე დამალავდა ხელებს მერხქვეშ და შესვენებამდე ასე იჯდა. როგორც კი ზარი დაირეკებოდა, წამოხტებოდა და კისრისტეხით გარბოდა ონკანისაკენ. კლასში თავიდან ფეხებამდე გაწუწული ბრუნდებოდა.

— ქალბატონო ელი, მე დავიბანე და ახლა სულ სუფთა ვარ,—ჩქარობდა ჩემთვის შეეტყობინებია.

გაკვეთილების შემდეგ ფრანჩესკო გოგონების მიბაძვით მოდიოდა ჩემთან და მეკითხებოდა:

— რა გვაქვს ხვალისათვის დასაწერად?—თუმცა ის არასოდეს არ აკეთებდა საშინაო დავალებას. ანდა მეკითხებოდა:—ქალბატონო ელი, ხვალ გვექნება გაკვეთილები?

ამ უკანასკნელ შეკითხვას ის დილითაც მაძლევდა და საღამოსაც. დილას მკითხავდა გვექნებოდა თუ არა მეცადინეობა, დღისით კი—გვექნებოდა თუ არა გაკვეთილები ხვალ.

როგორც ჩანს, ამ შეკითხვების მიცემას ის სავალდებულოდ თვლიდა ყველა ნამდვილი მოსწავლისათვის.

შობამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენს კლასს ეწვია სამი ქალბატონი.

— ქალბატონო,—მომმართა ერთ-ერთმა მათგანმა,—სასკოლო კომისიამ, რომლის წევრებიც ჩვენ ვართ, გადაწყვიტა თქვენი კლასის ყველაზე ღარიბ სამ ბავშვს მისცეს საკაბე. ვის მისცემთ საჩუქარს, ეს თქვენ თვითონ უნდა გადასწყვიტოთ. აი, ტილოს სამი ნაჭერი. მიეცით იმათ, ვისთვისაც საჭიროდ ცნობთ.

მე კარგად ვიცნობდი ჩემს მოწაფეებს და უმალვე შევარჩიე სამი ბავშვი, ვისთვისაც საჩუქარი უნდა მიმეცა. ერთ-ერთი მათგანი იყო ფრანჩესკო. სექტემბრიდან მოყოლებული, როცა მე ის პირველად ვნახე, მთელი ზამთრისა და გაზაფხულის განმავლობაში ერთსა და იმავე უჯრულა პალტოთი დადიოდა. მხოლოდ გახეხილი ბეწვის საყელო და ერთადერთი, რაღაც სასწაულით შერჩენილი ფოლაქიღა მეტყველებდნენ მის წარსულ ბრწყინვალებაზე.

პალტოს ქვემოდან ფრანჩესკოს მოუჩანდა რაღაც თეთრი პერანგის მსგავსი. როცა ბიჭუნა იჯდა, ფეხები მუხლებამდე შიშველი ქონდა.

მარგარიტასა და ფრანჩესკოს მე შორიდანვე ვცნობდი. მარგარიტას ეცვა წითელი ბამბაზიის კაბა, მხრებზე უცვლელად ეხვია ჟამთასვლისაგან ფერდაკარგული თეთრი თავშალი. ფეხსაცმელები ზომაზე გაცილებით დიდები ეცვა. ფრანჩესკო კი სულ ფეხშიშველი დადიოდა.

გაკვეთილების შემდეგ გამოვუძახე ბავშვებს, რომლებსაც საჩუქარი უნდა მიეღოთ. ფრანჩესკომ ორივე ხელი დასტაცა ნაჭერს, გულზე მიიკრა, ეზოში გაიქცა და იქ დის მოლოდინში გადარეულივით დარბოდა: მარგარიტას გაკვეთილები უფრო გვიან უთავდებოდა.

ნასადილევს ფიზკულტურის გაკვეთილი გვქონდა. ზარი დიდი ხნის დარეკილი იყო, ფრანჩესკო კი არ ჩანდა. გოგონებს ეზოში ვამეცადინებდი. ჩვენ ხელიხელს ჩავკიდეთ და დიდი წრე შევკარით. მაგრამ აი, გამოჩნდა ფრანჩესკო. მას ისევ ისე მაგრად ქონდა ჩაკრული ნაჭერი.

— წადი პატარავ, კლასში, საჩუქარი მერხში შეინახე, წრეში ჩადექი და ჩვენთან ერთად ითამაშე.

ფრანჩესკომ თვალები დაბლა დახარა...

— წადი. თუ გინდა, ჩემს მაგიდაზე დადე საჩუქარი.

ბავშვს თვალები ცრემლებით აევსო. მივხვდი, რომ არ უნდოდა საჩუქრის ერთი წუთით მოშორებაც კი,— ეშინოდა არ წაერთმიათ.

— მაშ კარგი,—ვთქვი მე.—გოგოებო, მოკიდეთ ხელი ფრანჩესკოს.

*

მეორე დღეს სასწავლებლის დირექტორმა გამომიძახა თავის კაბინეტში.

— იმისათვის გამოგიძახეთ,—მითხრა მან,—რომ გავიგო იმ ბავშვების სახელები და გვარები, რომლებსაც საჩუქრები მიეცით.

— ინებეთ. ელენა ხრისტინაკი, მარია პარასირაკი და ფრანჩესკო დევარისი.

— ეს ვინაა?—მკითხა მან გაკვირვებით.

— ერთი საწყალი ბავშვი...

— მე თქვენ ამაზე არ გეკითხებით. ის მოწაფეა?

— არა...

— რატომ მიეცით მას ნაჭერი? განა თქვენ არ იცით, რომ სასკოლო კომიტეტი დახმარებას მხოლოდ მოწაფეებს უწევს?

— მე არ ვიცოდი, რომ...

— არ იცოდით! როგორ მოვიქცეთ? თუ ჩვენ ამას ვაცნობებთ კომიტეტს, ამით იმას ვაღიარებთ, რომ ჩვენთან სწავლობს ბიჭი. ეს კი კანონით აკრძალულია. საჭირო იქნება სხვა გვარის დასახელება, ანდა მე უნდა მოვატყუო სასკოლო კომიტეტი... მითხარით, რა უფლებით მიიღეთ კლასში ბიჭი ჩემი ნებართვის გარეშე!..

— მე არც ისე დიდი ხანია ვმუშაობ, ქალბატონო, და არ ვიცოდი თუ ასეთ უბრალო საქმეზე ნებართვა იყო საჭირო.

— როგორ! თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს «პატარა საქმეა?» მაშ, ახლა ხომ იცით, რაც საჭიროა. ჩვენ არ გვაქვს თავისუფალი ადგილები... ცუდად იწყებთ მოღვაწეობას... ბიჭი კი მეტი არ ვნახო აქ მოსული. თუ თქვენ გეუხერხულებათ მისთვის ამის თქმა, გადაეცით მის დას, რომ ეს ჩემი ბრძანებაა.

ძალიან აღელვებული წავედი. შესაძლებელია, როგორც ახალგაზრდა, ცუდად ვერკვეოდი ადამიანებში, შეიძლება... მაგრამ დირექტორის სიტყვები მეტისმეტად მკაცრი მეჩვენა...

როგორ ვუთხრა ფრანჩესკოს, რომ მეტი აღარ მოვიდეს სკოლაში? მე ამაზე ფიქრიც კი მიმძიმდა.

ჩემს ბედზე ფრანჩესკო არ მოვიდა დილის გაკვეთილებზე. მე შიშით ველოდი მის გამოჩენას ნასადილევს.

...სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდება. რვა თვის განმავლობაში ჩვენ დილიდან საღამომდე ერთად ვიყავით და მოვასწარი ჩემი მოწაფეებისა და ფრანჩესკოს შეყვარება. და ახლა, როცა მის გამო საყვედური მივიღე, კიდევ უფრო მეტად ვიგრძენი რამდენად მივეჩვიე მას.

როგორ მოვიქცე?

*

ფრანჩესკო და მარგარიტა არც ნასადილევს მოსულან. არ მოსულან არც მეორე, არც მესამე დღეს. პარასკევს, ცხრის ნახევარზე დავინახე მარგარიტა. გოგონას იგივე წითელი ბამბაზიის კაბა ეცვა, ოღონდ თავშლის მაგივრად თავზე შავი თავსახვევი ეკრა.

— მარგარიტა!—დავუძახე გოგონას.—სად დაიკარგე! ანდა ფრანჩესკო სადაა?

— ის გარდაიცვალა, ქალბატონო ელი...

— გარდაიცვალა?! რას ამბობ? რისგან?

— წითელათი იყო ავად...

— კი მაგრამ, რატომ არაფერი არ მითხარი? ჩვენ ექიმს გამოვაგზავნიდით...

— ვერ მოვასწარით, ქალბატონო ელი,—მიპასუხა მარგარიტამ და თვალები ცრემლებით აევსო.—გახსოვთ ის დღე, ტანვარჯიშს რომ ვაკეთებდით? იმ ღამეს გახდა ავად... ორ დღეში გარდაიცვალა... რომ გენახათ, უკანასკნელ წუთებამდე როგორ იკრავდა გულში თქვენს საჩუქარს, რომ გენახათ!—გოგონა ატირდა და თავის კლასისკენ წავიდა.

მე მას გავყურებდი და ლოყებზე ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა ცრემლები, სიბრალულისაგან გული მეწურებოდა.

თარგმნა **ბ. შელიამ**

— ის გარდაიცვალა, ქალბატონო ელი...
— გარდაიცვალა?! რას ამბობ? რისგან?!

პოლონეთის ცოცხალ ჭვრეტა

მანანა ბზიავა ვარშაველი გოგონაა. ვარშაველია მისი დედა, მამა კი, ქართველი კოკა ბზიავა, კარგა ხანია აქ მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობს; იგი მანანას ხშირად უყვება საქართველოს შესახებ.

ჭუჭის გადახავლელთან პატარა ბიჭი დგას, ზურგზე წიგნები წამოუკიდებია, ხოლო ჩანთაში სპორტული ფეხსაცმელები უდევს, მას სკოლისაკენ მიეჩქარება.

ვარშაველი გოგონა ანა რუცკი ხუთ ბავშვო ბალში დადის. მამა ხშირად უყვება კოკაკასიის მთებზე, სადაც მან, მთამსვლელებთან ერთად მთელი ზაფხული გაატარა.

ვისლით გაყოფილი ქალაქის ორ ნაწილს ახალი ორსართულიანი ხიდი აერთებს. მაცრში დახვეული ეს კიბე ხიდის სართულებისაკენ მიგიძღვებათ



ცაზე აწვდილი ეს მენობა კი შეცვ... ნიერებისა და კულტურის სახალხეა, რომ... მელმაც მთლიანად შეუცვალა სახე ძველი ქალაქის ცენტრს. იგი საბჭოთა ადამიანების საჩუქარია გაათავისუფლებული პოლონელებისადმი.



8009

საბჭოთა პოლონეთი. კრაკოვი—ძველი დედაქალაქი და მრეწველობისა და კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი ამჟამად. მრეწველობის მძლავრ აღმავლობას ხელი შეუწყო ომისშემდგომ პერიოდში ეკონომიკურ-ტექნიკურ დახმარებამ. ბურსაზე სწორედ მეტალურგიული კომბინატის აშენებამ. ბუტა ძველი ქალაქის ეს ახალი კორპუსებია გამოსახული. ერთ-ერთი ქალაქი, რომელშიც ვერ შეხვდებით... ეკლესიას... რომ მართლაც ახალია, იქიდანაც ჩანს, რომ იგი პოლონეთის



წელში სწორდება მეორე მსოფლიო ომში მიწასთან გასწორებული ვარშავა. განგებ შემონახული, აღდგენილი ჭუჭა, ნობა მარშალკოვსკის ჭუჭაზე, ჰიტლერელთა მხეცობის კვალია.

კრაკოვი მდიდარია კულტურის ისტორიული ძეგლებით. აქ არის შუა საუკუნეების მეფეთა სასახლე ვაველი, რომელშიც ახლა ეროვნული მუზეუმია გახსნილი. აქ აკურთხებდნენ მეფედ. ვაველის ბორცვზე აღმართულია ტაძარი ღა ციხე-სასახლე, რომლის ეზო შემოჩრილია თალდებით. აქვეა ეკლესია და მონასტერი გამოჩენილ პოლონელთა აკლდამებით. სურათზეა ვაველის ხედი და დიდი ზარის უზარმაზარი ჩაკეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული ლაშქრობა

მოგვიახლოვდა ზაფხული. დგება ტურისტული ლაშქრობების შესანიშნავი დრო. პიონერები გამალებით ემზადებიან. ადგენენ მარშრუტების რუკებს, სწავლობენ აზიმუტით და კომპასით გზის გაგნებას და სხვ. მაგრამ არიან ისეთი პიონერებიც, რომლებმაც არ იციან როგორ მოემზადონ ლაშქრობისათვის.

ბავშვთა ცენტრალური ხაექსკურსიო-ტურისტული სადგურის უფროსმა, პატივცემულმა მზია ერიხთავმა გვიამბო ერთ-ერთი ტიპიური ტურისტული რაზმის ლაშქრობაზე. გულდასმით მოუსმინეთ მას და მისი ნაამბობი თქვენს მომავალ ლაშქრობებში უდაოდ დიდ დახმარებას გაგიწევთ.

— გივი, გივი, ჩამოდი ქვევით, საქმე გვაქვს,— დაუძახეს გივის ამხანაგებმა თამაზმა და გოგიმ. გივიმ ჩაირბინა თუ არა კიბე, ალაყაფის კარებთან მიიმწყვდიეს.

— ვერ გამიგია რას მემართლებით,— სთქვა მან.— თუ ის გაწუხებთ, რომ მე რადიოში გამომაცხადეს, ეს ჩემს სურვილზე არ იყო დამოკიდებული.

—გაჩუმდი,— შეაწყვეტინეს მას.—ჩვენ ის გვადარდებს, რომ შენი ამბავი შენზე ადრე რადიომ შეგვატყობინა.

— ბიჭებო, მეც მათქმევინეთ, - დაიწყო გივიმ,—დამნაშავე არა ვარ; მე რომ ტურისტულ სექციაში ჩამწერეს, თქვენ მაშინ ავად იყავით. მოუთმენლად ველოდი თქვენს მორჩენას. როგორც კი გამოკეთდით, მე ხომ მაშინვე მოვედი თქვენთან. ჩვენ ხელმძღვანელსაც ვაცნობე თქვენი გამოჯანმრთელების ამბავი. მან მითხრა: ვინც ცოტა ხნის წინათ მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა, ის ლაშქრობაში არ დაიშვებაო, ამიტომაც ველარაფერი გაგიმხილეთ.

მართალია, დღეს კვირაა, მაგრამ ამ გაუთავებელი წვიმების გამო ლაშქრობაში არ მივდივართ. სამაგიეროდ, ჩვენ ტურისტულ კუთხეში ვმორიგეობთ და პიონერთა სახლში ექსკურსიით მოსულებს ვათვალიერებინებთ ჩვენს ტურისტულ კუთხეს. თუ გინდათ, თქვენც წამოდით და გაჩვენებთ, ბევრი საინტერესო რამ გვაქვს.

რამდენიმე წუთის შემდეგ სამივე ამხანაგი გაუდგა გზას პიონერთა სახლისაკენ.

შევიდნენ ეზოში. გივი როგორც შინაური კაცი, წინ გაუძღვა თამაზს და გოგის. გაიარეს შუშაბანდი, სადაც მოწყობილი იყო საყვავილე. ერთ მხარეზე დიდი ასოებით ეწერა „ამინდის ბიურო“.—ეს ჩვენი „ბარომეტრი“ მცენარეებია, აქ ვაწარმოებთ დაკვირვებას,—აუხსნა გივიმ.—ცუდი ამინდის წინ, აი, ეს გაშლილი ყვითელი ყვავილი დაიხურება; აი, ეს კი, თავს მაღლა ასწევს თუ არა, რამდენიმე საათში გამოიდარებს.

ოთახში სამ ფარზე ფოტოებით, ჩანახატებით და მაკეტებით გაფორმებული იყო ტურიზმში პიონერებისათვის სავალდებულო ცოდნისა და ჩვევების ნუსხა.

თამაზი და გოგი ყველაზე მეტად ზურგჩანთის მაკეტით დაინტერესდნენ. ზურგჩანთის ერთი გვერდი გახსნილი იყო და გამჭვირვალე ცელოფანში ნათლად ჩანდა თუ როგორ იყო იგი ჩალაგებული. ძირში, ჯიბეების მხარეს ეწყო კონსერვის ქილები და ქვაბი. მათ ზემოთ ნარმის პარკები, რომლებზეც წითელი ძაფით ამოქარ-

გული იყო: „ბრინჯი“, „შაქარი“; ზემოთ, უფრო მოზრდილ პარკს ეწერა „პური“. მას ზევიდან ეფარა ალუმინის ჯამი. ზურგის მხრით თბილი სვიტრი და სხვა რბილი ნივთები ელაგა. იქვე მაგიდაზე კარვის მაკეტი იყო. მის წინ საძილე ტომარა იდო და კარვის კარებთან საველე ჩანთა ეკიდა.

— აი, ჩვენი ტურისტული რაზმის ჟურნალი. „ნორჩი ტურისტი—1960 წ.

საკავშირო ექსპედიციის რაზმი № 135977“ ასე ეწერა თავფურცელზე.

გივი ფურცლავდა, თამაზი და გოგი იქვე ჩამოსხდნენ, ჟურნალის კითხვა დაიწყეს. პირველ ფურცელზე საექიმო კომისიის დასკვნა იყო.

ლაშქრობის მონაწილე თოთხმეტსავე პიონერს ცალ-ცალკე დავალებული ჰქონდა შემდეგი „თანამდებობები“:

1. ლაშქრობის უფროსის თანაშემწე სამეურნეო დარგში. 2. რაზმის მამასახლისი; 3. კულტმუშაკი, 4. მეტეოროლოგი; 5. ბოტანიკოსი; 6. გეოლოგი; 7. ეთნოგრაფი; 8. ლაშქრობის მემატიანე; 9. ფოტოგრაფი; 10. მხატვარი; 11. მსვლელობის ჩამკეტი; 12. ტოპოგრაფი; 13. სანიტარი; 14. ზოოლოგი.

— გივი, ერთი ეს გაგვაგებინე, რის გამკეთებელია „ჩამკეტი“?

ჩამკეტს დიდი ტვირთი აწევს, ის უკან მისდევს რაზმს და თვალყურს ადევნებს მისი მსვლელობის წესრიგს.

თუ ვისმეს საჭურველი, ფეხსაცმელი ან რაიმე დაუზიანდა, ის ეხმარება, თუ ვინმეს უჭირს — მეთაურს სასტვენით რაზმის შეჩერების ნიშანს აძლევს; დილით გამამხნევებელ ვარჯიშს ატარებს.—ჩამკეტი ყველაზე ძლიერი ტურისტია და ლაშქრობის უფროსის პირველი თანაშემწეა.

— კიდევ ერთი კითხვა:—ეს „მემატიანე“ ვინღაა?

— ჰო მემატიანე! ის წერს ლაშქრობის დღიურს, აღნუსხავს უკლებლივ ყველა ფაქტს და ჩვენი რაზმის საქმიანობას. მემატიანე ხშირად საველე გაზეთის რედაქტორის მოვალეობასაც ასრულებს.

— ბარემ ეს ერთიც გვითხარი—„ეთნოგრაფი“ ვინ არის.

— ეთნოგრაფი იწერს ხალხურ თქმულებებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, ლექსებს, საბავშვო თამაშობებს, აღწერს სოფლად ძველებურ სახლებს, ძველებურ სოფლის მეურნეობის იარაღებს, წისქვილებს და ტრანსპორტის სხვადასხვა სახეებს, სხვადასხვა ადათსა და ზნე-ჩვეულებას; რასაც საჭიროდ სცნობს, ჩაახატვინებს მხატვარს და ფოტოსურათსაც გადააღებინებს.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სადილ-ვახშამს ვინღა გიმზადებთ?

— რიგრიგობით ყველა მზარეულობს,—განაგრძო გივიმ.—ზიდავს ფიჩხს, ანთებს ცეცხლს, რეცხავს ჭურჭელს და ასე შემდეგ.

გივიმ რამდენიმე ფურცელი ერთად გადაშალა,—ჰო, მართლა, ეს ძალიან საინტერესოა. აქ არის ჩვენი დიდი მარშრუტის ირგვლივ ყველა ცნობა: წიგნებიდან, ჟურნალებიდან და ჩვენი მარშრუტის ხაზზე მდებარე ყველა სკოლიდან, რომლებთანაც ჩვენ ჯერ კიდევ ზამთარში დავიწყეთ მიმოწერა. აი, ჩვენი მარშრუტის რუკაც, კალენდარული გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

მე ამ ლაშქრობაში დავალებული მქონდა დღიურის წერა და ამიტომ დანიშნულ ადგილას ყველაზე ადრე გამოვცხადდი, რომ არაფერი გამომრჩენოდა. ჩემს შემდეგ მოვიდა ჩვენი ხელმძღვანელი, პატივცემული სოსო. მალე ჩვენი მამასახლისი გიგლაც გამოცხადდა დედის თანხლებით, რომელმაც მანქანიდან გადმოალაგა გიგლას ზურგჩანთა, საველე ჩანთა, თერმოსი, საწვიმარი, მივიდა ლაშქრობის ხელმძღვანელთან და უთხრა:

— პატივცემულო სოსო, ვერ წარმოიდგენთ როგორი მადლობელი ვართ მე და ჩემი მეუღლე; ეს რამდენიმე დღეა გიგლას ვამზადებთ. თვითონ არც კი იცის იმდენი რამ ჩავულაგეთ ზურგჩანთაში. საველე ჩანთაშიც ისე ჩავაწყეთ ყველაფერი, როგორც ინსტრუქციაში ეწერა. კომპასი საველე ჩანთაში არ ჩაგვიდევს, საათივით ხელზე შეიბამს...

ხელმძღვანელი გიგლას მიუბრუნდა.—შენ ჯგუფის მამასახლისად განა იმიტომ აგირჩიეს, რომ შენი ზურგჩანთის ჩალაგებაც არ გცოდნოდა? რამდენჯერ მითქვამს, რომ ლაშქრობაში მხოლოდ აუცილებელი ნივთები მიგვაქვს. რა საჭიროა, მაგალითად თერმოსი?

— შიგ კაკაოა,—უპასუხა გიგლას დედამ.

— ძალიან კარგი, მაგრამ მთელ ჩვენს რაზმს ეს კაკაო ხომ ვერ დაანაყრებს. განა შეიძლება მარტო გიგლამ ჭამოს ისეთი რომ, რაც სხვას არ ექნება? ჩვენ მოგვაქვს შედედებული რძე, კაკაო. იქ, ველად, თვითონ მოადუღებენ მოლაშქრენი და მიირთმევენ კიდეც.

— პატივცემულო სოსო,—გაუბედავად დაიწყო გიგლას დედამ,—მე ყველაფერი სიის მიხედვით მინდოდა წამომეღო, მაგრამ, ვერ გამიგია ეს რა სია არის! სადილის დროს პირდაპირ ბიწაზე ხომ არ შეიძლება დაჯდომა, ამიტომ ვცანი საჭიროდ ეს დასაკეცი სკამი, სუფრაც ხომ აუცილებელია.

— რა თქმა უნდა, ეს კარგია, მაგრამ ტარება ხომ

უნდა? თქვენი ბიჭი 13 წლისაა, არც თუ ისე გაწვრთნილია. ის 40 კილოგრამს იწონის და დიდი-დიდი, 4 კილოგრამი ზიდოს; ყველაფერი ეს რომ ავწონოთ 8-9 კილოგრამი მაინც გამოვა. მიწაზე არც თქვენი ბიჭი და არც სხვა არ დაჯდება. მისი საწვიმარი გამოუსადეგარია ლაშქრობისათვის თუნდაც იმიტომ, რომ მას სახელოები აქვს. მაგრამ არა უშავს, ჩვენი სხვა მოლაშქრეები უბრალო მოსასხამებით იქნებიან. აი, ასეთებით,— ხელმძღვანელმა ჩემი მოსასხამი უჩვენა.— მოლაშქრეები გაშლიან მას მიწაზე და ერთი მოსასხამი სამს ეყოფა დასაჯდომად. სუფრადაც მოსასხამებს ვხმარობთ. ამგვარად, ჩვენ ერთი და იგივე ნივთი მრავალნაირ სამსახურს გვიწევს...

დანიშნულ დროზე ყველამ მოიყარა თავი. მორიგემ სია ამოიკითხა. სიჩუმე ჩამოვარდა. ველოდებით უფროსის ბრძანებას. ის თითქოს ვიღაცის მოლოდინში იყო.

უცებ სერგო შეეკითხა: რას ველოდებით, გავიდეთ ბარემ: საცაა წვიმა წამოვა! ავდარში არ შეიძლება ლაშქრობის დაწყება.

— აბა რაღა ტურისტები გამოვალთ თუ წვიმას შევუშინდებით?—ერთხმად შევძახეთ ყველამ.

—იქნებ ქარი ამოვარდეს და ღრუბლები გაფანტოს,— ამბობდა ჩვენი მეტეოროლოგი ლია.

— როდის ყოფილა, გოგო, ასეთი შავი, დაბალი ღრუბლები რომ ქარს გაეფანტოს! რას ხუმრობ: დახედე ჩემს ნაბდის ქუდს — მთლად ნესტითაა გაჟღენთილი. ქარხნის მილიდანაც კვამლი სახურავებზე ეფინება, მერცხლებიც დაბლა დაფრენენ,— ერთხმად ვუთხარით ყველამ ჩვენს იმედიან მეტეოროლოგს,

უცებ ჩამობნელდა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. პირველად ყველა შეშფოთდა, მაგრამ ჩვენი კულტმუშაკი არ დაიბნა და ზურგჩანთის სწრაფად და კარგად ჩალაგებაზე კონკურსი გამოაცხადა:— დროს ტყუილად ნუ ვკარგავთ, დაცალეთ თქვენი ზურგჩანთები. სამს რომ დავითვლი, ჩავრთავ წამმზომს და თქვენ დაიწყებთ ზურგჩანთის ჩალაგებას·

ჯერ კიდევ ასფალტიანი გზით მივდიოდით, როდესაც ხელმძღვანელმა შესვენება გამოაცხადა. ჩვენ ავხმაურდით,—რა დროს შესვენებაა, ჯერ რაღაც 15 წუთია რაც მივდივართ. მაგრამ ბრძანება ბრძანებაა და ყველა დავემორჩილეთ. ჩვენმა სანიტარმა ნათელამ ფეხსაცმელი გაიხადა და წინდების ნაოჭები გაისწორა. გაიოზს ზურგჩანთის თასმა ერთი მხრით უფრო გრძელი აღმოჩნდა და მთელი ტვირთი მეორე მხარეს აწვებოდა. ერთი სიტყვით, ვის რა აწუხებდა და ვის რა. თურმე ეს შესვენება ყველასათვის იყო საჭირო. მოვწესრიგდით. ჩვენი ბოტანიკოსი მარინე, როგორც ყველაზე სუსტი, წინ დააყენეს.

ასფალტიანი გზიდან ბილიკისაკენ გადავუხვიეთ. მივდიოდით ერთმწკრივად, ერთმანეთისაგან წინმკლავის მანძილით დაშორებულნი. შევისვენეთ გზაჯვარედინზე.

— აი, ამ ბუჩქიდან აიღეთ აზიმუტი 60°!—იყო ხელმძღვანელის ბრძანება. ყველამ მოიმარჯვა კომპასი. პირველმა ჩვენმა ტოპოგრაფმა გელამ წამოიძახა:—60° აზიმუტი არის აი, იმ მთის მწვერვალი.

ფეხი გვისხლტებოდა, უმეტესად მათ უჭირდათ, ვისაც ტყავისლანჩებიანი ფეხსაცმელი ეცვა.

მივდიოდით აღმართზე, ხშირ-ხშირად ვისვენებდით დაღმართისაკენ პირშექცეულნი, რა თქმა უნდა, ფეხზე მდგომნი; თან მაჯის ცემას ვითვლიდით, რომელიც ორი წუთის შესვენების შემდეგ ისევ ნორმალური იყო.

მთის წვერს რომ მივაღწიეთ, დავისვენეთ და სადილის მომზადებას შევუდექით. ნასადილევს რეზომ ორმო ამოიღო და შიგ ცარიელი კონსერვის ქილები და კვერცხის ნაჭუჭები ჩამარხა; რაც დაიწვებოდა, დასწვა და შემდეგ ცეცხლი ჩააქრო.

ჩვენი პირველი საწვრთნელი ლაშქრობა დამთავრდა. ხელმძღვანელს ვეკითხებოდით, თუ სად წავიდოდით მეორე ლაშქრობაში და როდის. მან გვითხრა, რომ ჯერ ეს ლაშქრობა არ დამთავრებულა, ვიდრე რაზმეულის შეკრებას ანგარიშს არ ჩავაბარებთო. ამისათვის საჭიროა ფოტოსურათების დაბეჭდვა და ფარზე მათი წარწერებით გაფორმება, დღიურების და შთაბეჭდილებების წესრიგში მოყვანა და ალბომში სუფთად ჩაწერა... შეგროვილი მასალისაგან გამოფენაც უნდა მოეწყოს.

ვჩქარობთ ჩვენი ლაშქრობის ანგარიშის შედგენას, რომ მეორედ ჩქარა წავიდეთ ლაშქრობაში. შემდეგ კი დიდი ლაშქრობისათვის ბევრი მზადება აღარ დაგვჭირდება.

მ. ერისთავი
ნახ. **გ. თოთიბაძისა**



ორმოცდაცამეტმეტრიანი თაღი

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოში პირველ საერთაშორისო გამოფენისათვის ააგეს დარბაზი, რომელიც თავისთავად ერთ-ერთი საინტერესო ექსპონატია, მსოფლიოში დღეს-დღეობით ყველაზე დიდი საგამოფენო დარბაზია. დარბაზის ფართობი 18 000 კვადრატული მეტრია (თითქმის ორი ჰექტარი). მთავარი დარბაზის თაღი 93 მეტრის სიმაღლეა. დარბაზი ალუმინის ფურცლებისაგან არის გადახურული და ამიტომ შედარებით მსუბუქია: მხოლოდ 215 ტონა. გამოფენის დახურვის შემდეგ პავილიონი სპორტდარბაზის დანიშნულებას შეასრულებს. სურათზე კარგად ჩანს ამ დარბაზის გრანდიოზულობა, მისი თაღის ქვეშ მანქანები, როგორც სათამაშოები ისე მოჩანან.

საბარგო მანქანა კედელზე ცოცავს

გულწრფელად რომ ვთქვათ, ყველგანმავალი ავტომანქანის შესაძლებლობა მაინც განსაზღვრულია. მართალია იგი არ იფლობა ტალახში, სილაში, ადვილად სძლევს ციცაბოს. მაგრამ ესაა და ეს. ასეთი ავტომანქანებით კედელზე გადაძრომა ჯერ არავის მოსვლია თავში.

ახლახან შვეიცის ერთ-ერთმა ფირმამ გამოუშვა საბარგო მანქანა, რომელიც ბევრად ჯობს დღემდე არსებულ ყველგანმავალ ავტომანქანებს. იგი ადვილად სძლევს თხრილებსა და ორმოებს, გადის ძალზე დაქანებულ ფერდობზე და ამასთან ერთად, როგორც ეს სურათიდან ჩანს, იოლად ძლევს საკმაოდ მაღალ კედელს.

ამ მანქანის საიდუმლოება ის არის, რომ მას შუაზე მესამე ღერძი აქვს და მანქანის ორივე—წინა და უკანა ნაწილი ამ ღერძით თითქმის გათიშულია ერთმანეთისაგან.



სასწავლო კოსმოპლანი

ადამიანმა კოსმოსური ფრენის ეპოქაში შეაბიჯა, მაგრამ კოსმოსური ფრენისათვის საჭიროა არა მარტო ტექნიკა, არამედ სპეციალურად გაწვრთნილი ადამიანები, რომლებიც შეხძლებენ კოსმოსში ფრენას.

ავიამშენებელმა ფირმამ—ნორტროპმა ამ მიზნისათვის ააგო სწავრთნელი კოსმოპლანი „პ—205“. ეს ორადგილიანი თვითმფრინავი, სამკუთხა ფრთებითა და სამი რაკეტული ძრავით, საათში 27 ათას კმ. სისწრმფეს განავითარებს. ავა რა 60 კილომეტრ სიმაღლეზე, იგი შემდეგ ინერციის ძალით იფრენს. დაშვების დროს კი სისწრაფე მხოლოდ და მხოლოდ 255 კილომეტრი ექნება. როგორც ყველა სასწავლო თვითმფრინავს, მასაც ორგვარი მართვა ექნება—ინსტრუქტორისა და მოსწავლისათვის.

მიწის სიღრმეებისაკენ

დედამიწის ზურგზე წიაღისეულის მარაგის შემცირებასთან ერთად, ადამიანი სულ ქვევით, მიწის სიღრმეებისაკენ მიიწევს. როგორც ცნობილია, დიდ სიღრმეებზე მუშაობა გაძნელებულია იმით, რომ ყოველ ას მეტრზე ტემპერატურა საშუალოდ 3 გრადუსით მატულობს. რამდენიმე წლის წინ, ყველაზე ღრმა შახტები 200 მეტრის სიღრმეს თუ აღწევდნენ. შემდეგ, ოქროს საბადოების დასამუშავებლად სამხრეთ ინდოეთში აგებულ იქნა 3050 მეტრი სიღრმის შახტი. მას სახელიც თავისებური დაარქვეს „ჩემპიონი რიფი“. მაგრამ მისი ჩემპიონობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1958 წელს პირველობა სამხრეთ აფრიკის ტრანსვაალის შტატის ერთ-ერთმა შახტმა დაიკავა (3354 მეტრი). ბრძოლა სიღრმეებისათვის კვლავ გრძელდება ამბობენ, რომ აფრიკაში 3650 მეტრი სიღრმის შახტის აგებას აპირებენო.

ასეთ დიდ სიღრმეებზე მუშაობა წარმოუდგენლად ძნელია. საქმეს არც ხელოვნური ჰაერი შველის. ტყუილად კი არ არის ორივე ეს შახტი სწორედ იმ რაიონებში აშენებული, სადაც ფერადკანიანთა შრომაა გამოყენებული.







ნოსირელი მხედარი

იანვარია. მდინარე ტეხურას თეთრი ქვებით მოფენილ რიყეზე პატარა ტანის მხედარი უბელო ცხენს მოაგელვებს. მხედარმა აღვირი მოზიდა და კუნთმაგარი ცხენი ქანდაკებასავით გაიყინა ადგილზე.

ეს, ნოსირელი პეტრე სირიაა. იგი თავის მორიგ ვარჯიშზე გამოსულა... რვა წლის იყო პეტრე, როცა პირველად მოახტა ცხენს. მას შემდეგ გულმოდგინედ სწავლობს და ეუფლება სპორტის ამ ლამაზ სახეობას – ცხენოსნობას. პირველად მან მაშინ ისახელა თავი, როცა ნოსირის საშუალო სკოლის მოსწავლეები მარულაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. კვირა დღე იყო. ნოსირელი პიონერები ხუთკილომეტრიანი მარულას სტარტზე იდგნენ. შეჯიბრებას რესპუბლიკის საუკეთესო ცხენოსანი—გვეჯე ივანიძე სჯიდა. რამდენიმე წუთიც და, ალისფერი ალმის ფრიალზე პატარა მხედრები ადგილს მოსწყდნენ. გულშემატკივრების გამაყრუებელ ყიჟინში ნორჩმა ცხენოსნებმა დისტანციის ნახევარი გაირეს და ცხენები უკან მოაბრუნეს. სტარტიდანვე დაწინაურდა პატარა პეტრე და მას არც ერთი მხედარი აღარ დაუნახავს, ისე მიაგდო ცხენი ფინიშზე.

— 5 კილომეტრიან მარულაში გაიმარჯვა მე-6 კლასელმა პეტრე სირიამ,—გამოაცხადა გვეჯე ივანიძემ.

64 წლის მოხუცის, სახელმოხვეჭილი ცხენოსნის გამოცდილ თვალს არ გამოეპარა ამ პატარა მხედრის სიმკვირცხლე და საზრიანობა. ამ დღიდან მოკიდებული, თვითონ გვეჯემ იკისრა პატარა ცხენოსნის დაოსტატება. 11 წლის მოწაფისა და 64 წლის გამოცდილი ცხენოსნის მეგობრობას უშედეგოდ არ ჩაუვლია...

...ერთად მიჰქროდნენ გვეჯეს „ჩერქეზი“ და პეტრეს „ალია“, ერთად ისაკუთრებდნენ ისინი რაიონის პირველობას. გავიდა ერთი წელი და პეტრე ტოლს აღარ უდებდა რესპუბლიკაში სახელგანთქმულ ოსტატებს. 12 წლის პეტრე საქართველოს წამყვან ცხენოსანთა რიგებში ჩადგა.

გასულ წელს, თბილისში, რესპუბლიკურ შეჯიბრზე გვეჯემაც გამოგზავნა თავისი მოწაფე.

— აბა, შენ იცი, წადი და არ შეარცხვინო შენი რაიონი და შენი მოხუცი მასწავლებელი,—უთხრა მოხუცმა და მამაშვილურად გადაკოცნა.

თბილისის ახალ იპოდრომზე საქართველოს ყველა კუთხიდან მოიყარეს თავი ცნობილმა ცხენოსნებმა. უფროსების გვერდით ათკილომეტრიან მარულაში მონაწილეობის მისაღებად თავისი „ალიაც“ დააყენა სტარტზე პეტრე სირიამ. თავიდანვე ჩოხატაურისა და გეგეჭკორის რაიონის ცხენოსნები დაწინაურდნენ. ყიჟინით მიაფრენდნენ ისინი თავიანთ ულაყებს ფინიშისაკენ. დისტანციის დამთავრებამდე სულ რაღაც ხუთასიოდე მეტრი იქნებოდა დარჩენილი, როცა პეტრემ აღვირი მიუშვა, წელში მშვილდივით მოიხარა, წვივები უფრო მაგრად მოუჭირა ცხენს და თავისი „ალია“ ვაჟკაცური ყიჟინით გაამხნევა. „ალიაც“ თითქოს ამას ელოდაო, ისარივით გაფრინდა. ფინიშის ხაზი პირველმა პეტრე სირიამ გადაკვე-

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

სამოცდაათი წლის წინათ, ამერიკის ერთ-ერთი კოლეჯის მასწავლებელს, ჯეიმს ნეისმიტს წინადადება მისცეს მოეგონებინა რაიმე ხალისიანი თამაში, რომლის ჩატარება დახურულ შენობაში იქნებოდა შესაძლებელი. ჯეიმსი ჩაფიქრდა: «ბურთი რომ ფეხით ვათამაშოთ, ამისათვის შენობაში არც ადგილია და თანაც ფანჯრები ჩაიმსხვრევა. რა მოხდება, რომ ბურთი ხელით გადავისროლოთ, ეს ზუსტიც არის და ხალისიანიც».

იმისათვის, რომ თამაში აზარტული ყოფილიყო, საჭირო იყო ბურთი რაიმე მიზნისათვის მოეხვედრებინათ. მაგრამ, როგორი უნდა ყოფილიყო ეს მიზანი? და აქ ჯეიმსს ბრწყინვალე აზრი დაებადა: ადგა და კედელს ორივე მხარეზე კალათები ჩამოკიდა, ჩვეულებრივი, მოწნული კალათები.

დაიწყო თამაში. მსოფლიოში ამ პირველი კალათბურთის თამაშში ერთდროულად მონაწილეობდნენ ქალებიც და კაცებიც, ამასთან, გუნდებში შედიოდა არა ხუთ-ხუთი, როგორც ამჟამად, არამედ ათ-ათი კაცი.

ისეთი სიამოვნება მოჰგვარა ამ თამაშმა სტუდენტებს, რასაც თვითონ ჯეიმსიც არ მოელოდა. დარბაზში საოცარი ჟივილ-ხივილი იდგა. ხოლო იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ბურთი კალათში ჩავარდებოდა, სიხარულის შეძახილებისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

თამაშს ერთი უხერხულება მაინც ახლდა თან: ბურთი რომ კალათიდან ამოეღოთ, ერთ კაცს კიბით უხდებოდა მორიგეობა. ბოლოს ჯეიმსმა მოიფიქრა. რომ კალათისათვის ფსკერი გამოეცალათ.

გავიდა ხანი. ნეისმიტმა დაწვრილებით შეიმუშავა ახალი თამაშის წესები. სულ ცამეტი წესი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი კალათბურთის წესებში სამასზე მეტი პუნქტია, ყველი ისინი იმ ცამეტი წესისაგან გამომდინარეობენ.

თა. ამ გამარჯვებით მან გაზეთ „თბილისის“ პრიზიც დაისაკუთრა.

იმავე წელს მოსკოვმაც იხილა ნორჩი მხედრის ოსტატობა. მართალია, აქ მას პირველი ადგილი არ დაუკავებია, მაგრამ საკავშირო შეჯიბრში მონაწილეობა უკვე დიდ წარმატებას წარმოადგენდა მისთვის. გაზეთ „სოვეტსკი სპორტმა“ მისი გვარი საგანგებოდ მოიხსენია და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

გ. კიკილაშვილი, შ. ჭიაბრიშვილი

კალათბურთის თამაში სულ უფრო და უფრო პოპულარული გახდა ამერიკაში მოსწავლე უცხოელმა სტუდენტებმა ეს თამაში ევროპაში, აზიაში, აფრიკაში და იაპონიის კუნძულებზე შეიტანეს.

რევოლუციის შემდეგ კალათბურთმა საქართველოშიც გაიდგა ფეხი. ეს შესანიშნავი თამაში ძალზე შეიყვარა ჩვენმა ახალგაზრდობამ. ახლა ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელები ერთ-ერთ უძლიერესად ითვლებიან არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს ევროპაში. თბილისის «დინამოს» გუნდი წარმატებით იბრძვის ევროპის უძლიერესი გუნდის სახელისათვის — ევროპის თასის მოსაპოვებლად.

უხეში წნული კალათები რგოლებზე ჩამოკიდებულმა, ნაქსოვმა ბადემ შეცვალა. სახელი კი ამ თამაშს მაინც ძველი—«ბასკეტბოლი» შემორჩა. იგი ორი ინგლისური სიტყვისაგან შედგება: «ბასკეტ» — კალათი და «ბოლ» — ბურთი. ქართულად ამ სიტყვას არ ვხმარობთ, რადგან ჩვენს ენაში მას შესანიშნავი შესატყვისი — «კალათბურთი» მოენახა.

ცინიკოსი

ძველად ცინიკოსები ეწოდებოდა საბერძნეთის ერთ-ერთი ფილოსოფიური სკოლის მსმენელებს (IV საუკუნე ჩვენს ერამდე). ეს სკოლა უარყოფდა ფუფუნებას და უბრალო ღარიბ-ღატაკურ ცხოვრებას ქადაგებდა. ადამიანის ბედნიერებას ცინიკოსები განმარტოებულ ცხოვრებასა და ყოველდღიური სიამოვნების უარყოფაში ხედავდნენ.

ამ სკოლის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი იყო დიოგენი (412—329 წ. წ. ჩვენს ერამდე). დიოგენი ქადაგებდა, რომ უპირველესი სათნოება მდგომარეობს ადამიანის სრულ დამოუკიდებლობაში, როგორც გარე სინამდვილესთან, ისე საზოგადოებასთან.

ამ მოძღვრების უკიდურესობამდე დაყვანამ ცინიკოსები იქამდე მიიყვანა, რომ ისინი უარყოფდნენ მიღებულ მორალსა და საზოგადოებაში დაკანონებული ურთიერთობის ნორმებს. ასე მაგალითად, ცინიკოსები შიშველნი დადიოდნენ საჯარო ადგილებში. თვითონ დიოგენი კი, როგორც ცნობილია, განერიდა საზოგადოებას და კასრში ცხოვრობდა.

ამჟამად ცინიკოსი ყველაფრის დამცინავ ადამიანს ჰქვია.

რაც მაქვს, თან დამაქვს

VI საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) სპარსელები საბერძნეთს დაესხნენ თავს და მრავალი ქალაქი ააოხრეს. დაშინებულმა მოსახლეობამ დასტოვა ქალაქები და ტყეს შეაფარა თავი. ფილოსოფოსი ბიასი კი ხელცარიელი გავიდა ქალაქიდან. როცა მას ჰკითხეს, რატომ არაფერი მოგაქვს თანო, მან უპასუხა: რაც მაქვს, თან დამაქვს.

ამ გამოთქმის აზრი ისაა, რომ ფულისა და სიმდიდრის შენახვაც შეიძლება და დაკარგვაც, ხოლო ცოდნა და ჭკუა მათზე ძვირფასია, რადგან არასოდეს დაეკარგება ადამიანს.

ჰომერული სიცილი

ასე უწოდებენ თავშეუკავებელ, ხმამაღალ სიცილს.

ეს გამოთქმა ძველ ბერძენ პოეტ ჰომეროსთან არის დაკავშირებული. მის პოემებში — „ილიადა“ და „ოდისეა“ — რამდენიმე ადგილას არის აღწერილი ველური, თავშეუკავებელი სიცილი.

ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად – ზრდილობა...

ჩავიცვათ სუფთად და სადად

რაზმის შეკრებაზე, ტოლების წინ თავჩაქინდრული იდგა თამაზი, იგი თვალს ვეღარ უსწორებდა მეგობრებს, პიონერ ხელმძღვანელს. ეს მერამდენედ მიიღო შენიშვნა რაზმელებისაგან. არა, დღეიდან გამოსწორდება თამაზი, აღარ შეარცხვენს მშობლიურ რაზმს. აი,ახლაც მასზე ლაპარაკობს პიონერხელმძღვანელი:

— მუდამ უნდა გახსოვდეთ დიდი ლენინის სიტყვები: «ზრდილობიანია ის ადამიანი, ვინც პირველი ესალმება შემხვედრს».

თამაზის ნაკლი კი განა მარტო უსალმობაა, განა მხოლოდ ამას უსაყვედურებენ. ამ ბოლო ხანებში იგი ფეხბურთითაა გატაცებული. სახლში ვერ აჩერებენ, სტადიონისაკენ მიურბის გული. ამან კი არა მარტო მის ნიშნებზე იქონია გავლენა, არამედ მის ქცევაზეც, ჩაცმულობაზეც. იგი კლასში ხშირად დახეული ტანისამოსით მოდის, ყელსახვევი გვერდზე აქვს მოქცეული, ღილები—შეხსნილი. ეს კი პიონერს არ შეჰფერის.

ტანსაცმლის სუფთად და ფაქიზად მოვლა, ჰიგიენური წესების დაცვა ხომ თქვენი ერთ-ერთი დამახასიათებელი ჩვევაა. თამაზი მართლაც რომ გასაკიცხია; მაგრამ არც თამაზის თანაკლასელის—მზიას საქციელია მისაბაძი, თუმცა მზიას შეხედვა ყველას სიამოვნებს. იგი კლასში მუდამ გაკრიალებული მოდის; ქათქათი გაუდის მის თეთრ საყელოსა და სამაჯურებს; ტანსაცმელი მუდამ კოხტად დაუთოებული აქვს, ბაფთა კი პეპელასავით აზის თავზე. მაგრამ, აბა ჰკითხეთ მზიას, ვისი ხელები გაისარჯა ამისათვის? მზიას, რა თქმა უნდა, პასუხის გაცემა შეაგვიანდება, ანდა შეიძლება სულაც არ გიპასუხოთ. მაგრამ ამ

გოგონას მეგობრებმა იციან, თუ ვინ რეცხავს მზიას ტანსაცმელს, ვინ აუთოებს თეთრ ბაფთებს საგულდაგულოდ: ეს ხომ მზიას ბებიაა. უყვარს ბებიას შვილიშვილი, ეამაყება, რომ მისი გოგონა მუდამ ასე კოხტად გამოიყურება. მზია კი ცუდად იყენებს ამ სიყვარულს და ერთხელაც არ ცდილა შეასვენოს ბებიას დაღლილი ხელები. იქნებ, მეგობრებო, თქვენი რაზმის მომავალ შეკრებაზე მზიას შესახებ იმსჯელოთ?

ვიცი, რომ თამაზიც და მზიაც მხოლოდ გამონაკლისები არიან, რომ თქვენი რიგები სანიმუშო, სისუფთავის მოყვარული პიონერებითაა სავსე, მაგრამ ერთი რამეც ნუ დაგავიწყდებათ: ყოველი მოსწავლე, არა მარტო თვით-

ონ უნდა იყოს სუფთა და ფაქიზი, არამედ იმაზეც უნდა ზრუნავდეს, რომ სხვებსაც ასეთივე ჩვევა გამოუმუშავდეთ, რომ მის ირგვლივაც მუდამ სისუფთავე იყოს.

ამასთან ერთად, უნდა ეცადოთ, რომ ყოველთვის კოხტად გამოიყურებოდეთ. ზრუნვა საკუთარ გარეგნობაზე სულაც არაა საძრახი. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენი ტანსაცმელი აუცილებლად ძვირფასი იყოს. ეს თქვენს ასაკში არაა მიზანშეწონილი. თქვენ ახლავე უნდა განავითაროთ თქვენი გემოვნება: კულტურული ადამიანისათვის ყველაზე მეტად სისადავეა დამახასიათებელი. სადა ტანსაცმელი ამკობს როგორც მოსწავლეს, ასევე მოზრდილ ადამიანსაც. ეს აქედანვე უნდა იცოდეთ. სამწუხაროა, როდესაც ვხვდებით ისეთ ბავშვებს, რომლებმაც ეს ჭეშმარიტება არ იციან. მე ვიცნობ ორ გოგონას ცისანასა და რუსუდანს. ეს გოგონები წინათ სუფთად, კოხტად და გემოვნებით იცვამდნენ. მაგრამ ამ ბოლო ხანებში მათ ვეღარ ვცნობ: ერთიც

და მეორეც ჭრელ-ჭრელა კაბებით არიან გატაცებული. მათი საოცრად განიერი ქვედა კაბები, ბრტყელი ქამრები და მკვეთრი ფერის ფეხსაცმელები უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ ადამიანზე. მათ თმები ვაჟურად შეიჭრეს და უწესრიგოდ ივარცხნიან, ისინი კაბაზე ხშირად იბნევენ ბრჭყვიალა, უხეშ ქინძისთავებს. ამ ორ გოგონას და მათ მეგობრებს ჰგონიათ, რომ «ახალ სტილზე» იცვამენ. სინამდვილეში კი ეს ყველაფერი მათი ცუდი გემოვნების მაჩვენებელია. ამავე დროს, სამწუხარო ის არის, რომ ცისანას და რუსუდანს შეიძლება ზოგიერთმა წაბაძოს. ვინ უნდა აუხილოს თვალი ამ გოგონებს? ისევ და ისევ თქვენ. მშობლებთან, სკოლასთან ერთად თქვენ უნდა მიიღოთ გადამჭრელი ზომები, თქვენ უნდა გაკიცხოთ ისინი და თქვენვე უნდა დააყენოთ სწორ გზაზე, თორემ გაივლის ხანი და მათი გემოვნება სამუდამოდ დამახინჯდება. ეს კი საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერებელია.

მაშ, შევთანხმდეთ მეგობრებო, მხარი მხარს მივცეთ და ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ თქვენს რიგებს მუდამ კულტურული, ზრდილობიანი და სადად ჩაცმული პიონერები ამშვენებდნენ.

ნინო ხოფერია

კაჭის მამაცობა

(ნამდვილი ამბავი)

ალაზნის ნაპირებზე ნადირობაში შემოგვაღამდა. გადავწყვიტეთ ღამის გასათევად იქვე, მახლობელ სოფელში მივსულიყავით.

სოფელი სამთაწყარო სტუმართმოყვარე აღმოჩნდა, მასპინძლებმა გულთბილად მიგვიღეს და შესანიშნავად დავბინავდით.

სახლის უფროსმა მეუღლეს რაღაც გადაულაპარაკა, თვითონ დაუწყო რწევა აკვანს, რომელშიც პატარა გოგონა იწვა. დიასახლისმა მაგიდა გააწყო, ვივახშმეთ და დავწექით.

შუაღამისას დიასახლისის კივილმა გამოგვაღვიძა. ყველანი ფეხზე წამოვდექით; ეს კივილი ისე მოულოდნელი იყო, რომ ზოგმა თოფსაც კი წამოავლო ხელი. ოთახს მკრთალად ანათებდა ნახევრად მინელებული ჭრაქი. ქალს შიშისაგან ენა ჩავარდნოდა, აკვანს გადაფარებოდა, რაღაცას გაუგებრად ბუტბუტებდა, ხელს თუნუქის ღუმელისაკენ იშვერდა.

ღუმელთან მხოლოდ შეშები ეყარა და იქვე ვეებერთელა, აბურძგნული კატა იდგა. ჯერ ვერაფერი გავიგეთ. უცებ კატა რაღაცას ეცა. ახლა კი შევნიშნეთ, რაშიც იყო საქმე: კატის წინ ვეებერთელა გველი ეგდო, რომელიც დრო და დრო თავს მაღლა სწევდა და კატისკენ საკბენად მიიწევდა. მათმა ბრძოლამ დიდ ხანს გასტანა; წელში გაწყვეტილი გველი კიდევ განაგრძობდა ბრძოლას, ხან კი თავის მომაკვდარუნებით ცდილობდა მოწინააღმდეგის ბრჭყალებიდან თავის დაღწევას, მაგრამ ამაოდ. კატა მას განძრევის საშუალებასაც კი არ აძლევდა, იგი ყოველ განძრევაზე ღებულობდა კატის ბრჭყალების სახიკვდილო დარტყმებს თავში.

გველმა უკანასკნელად გაიბრძოლა. კატა კიდევ ორ-სამჯერ ეცა მას და გამარჯვებულმა კისერში ღრმად ჩაასო ბასრი ბრჭყალები, შემზარავად დაიკნავლა და კბილებით დაუწყო გლეჯვა.

ჩვენ დავინტერესდით თუ რა სახის გველთან გვქონდა საქმე. მიწაზე გართხმულიყო ერთ მეტრამდე სიგრძის სქელი სხეული. მას კუდი მოკლე ჰქონდა, რომელიც ბოლოში ერთბაშად წვრილდებოდა. სამკუთხედის ფორმის თავი კისრიდან მკვეთრად იყო გამოყოფილი და ზედა ტუჩზე ხორცის საფარვლებში მოთავსებული ერთი წყვილი შხამიანი კბილი ჰქონდა.

გველის კარგად დათვალიერების შემდეგ დავრწმუნდით, რომ სახლში შემოსულიყო შხამიანი გველი—გიურზა, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული შირაქ-ალაზნის ველებზე.

ჩვენში გავრცელებულ გველებს შორის იგი ყველაზე შხამიანია, მისგან დაკბენილი ცხოველები ხშირ შემთხვევაში იღუპებიან. ცნობილია ადამიანის სიკვდილის მრავალი შემთხვევაც.

გიურზა ცოცხლადმშობი გველია, გვხვდება საქართველოს სხვადასხვა ადგილებში. იგი ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლემდე ვრცელდება. ბინადრობს როგორც მშრალ, ქვა-ღორღიან ველებზე, ისე მთის კალთებზე ჯაგნარიან ადგილებში, გვხვდება ბაღებსა და ვენახებში, ადის ხეზე, ბუჩქებზე, შედის წყალში, შეიჭრება ეზოში და საცხოვრებელ ბინაშიც.

აქ, როგორც ჩანს, იგი მსხვერპლის ძებნის დროს იყო შემოსული და ამ დროს შეიძლება ეკბინა იქ მყოფთათვისაც მაგრამ კატამ არ მისცა ამის საშუალება, სამკვდროსიცოცხლო ბრძოლა გაუმართა მას.

კატის მამაცობის ამბავი მეორე დღეს მთელმა სოფელმა გაიგო. მასპინძელი გავაფრთხილეთ გველი მიწაში დაემარხათ, რადგანაც მისი შხამი რამდენიმე წლის განმავლობაში ინარჩუნებს მოქმედების უნარს. კბილის ან მოშხამული ძვლის შეხობამ ცხოველის კანში შეიძლება კიდევ გამოიწვიოს სასიკვდილო მოწამვლა. ეს განსაკუთრებით საშიშია სოფლელი ბავშვებისათვის, რომლებიც ხშირად მთელი დღე ფეხშიშველები დარბიან.

ზამთარში კვლავ მოგვიხდა იმ ადგილებში ხანადიროდ ჩასვლა; ჩვენს მასპინძელს ისევ ვესტუმრეთ და კატის ამბავი გამოვკითხეთ. როგორც ჩანს, იგი არ იყო გველისაგან ძლიერ დაკბენილი; მაგრამ ნაწილობრივი მოშხამვის შედეგად ერთგვარი დამბლა მაინც დასცემოდა, შხამის მონახვედრი ადგილები გაშავებოდა და სახე მთლიანად დახჩირქებოდა, ტანზე ალაგ-ალაგ ბეწვი ახლაც გაცვენილი ჰქონდა, მაგრამ თვითონ უკვე გამოჯანსაღებულიყო. მედიდურად დაყუნცულიყო ღუმელის გვერდით და მარჯვენა თათს ისვამდა ნაომარ სახეზე.

ალ. არაბული

„პიონერს უყვარს ბუნება, იგი მწვანე ნარგავების, სასარგებლო ფრინველებისა და ცხოველების დამცველია“. (ნორმ პიონერთა კანონებიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიმსაუბროთ ბუნებაზე

ყველელი პიონერის მოვალეობაა მოუაროს ნარგავებს, ხეხილს. დაეხმაროს კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ხეხილის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში; უნდა შეეძლოს ხეხილის დაავადებების გამოცნობა და მათთან ბრძოლა; თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი რესპუბლიკის მეხილეობის განვითარების დიად და საპატიო საქმეში.

ჩვენო მკითხველებო, «პიონერის კლუბში» მივიწვიეთ საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი ალექსი ბუჩუკური. იგი იძლევა სასარგებლო რჩევა-დარიგებებს, რომელიც დაგეხმარებათ ხეხილის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაზაფხული—ხეხილის დარგვის ყველაზე ხელსაყრელი დროა. ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ახალი ბაღები უნდა გააშენონ. დღემდე არსებული ხეხილის ბაღების საერთო ფართობი კიდევ 4000 ჰექტარით გაიზრდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ წლის ბოლოსათვის, ჩვენს რესპუბლიკაში ხეხილის ნარგაობის ფართობი 107 ათას ჰექტარს გადააჭარბებს.

დიდი ყურადღება ექცევა ჩვენში მეხილეობის განვითარებას. ხილი მაღალხარისხოვან საკვებ პროდუქტად ითვლება, იგი შეიცავს ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ისეთ აუცილებელ ნივთიერებებს, როგორიცაა: გიტამინები, შაქარი, ცილები, ცხიმები, მჟავები.

ხეხილის დარგვა და გახარება ყოველი პიონერის საპატიო საქმეა, და იგი არც თუ ისე რთულია, ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი ათასი ბავშვი სწავლობს; ყოველმა პიონერმა ერთი ან ორი ნერგი რომ დარგოს, მოუაროს და გაახაროს, თვითონ განსაჯეთ, რა სასარგებლო საქმე გაკეთდება.

ამ დიდი და მეტად საპატიო ამოცანის შესასრულებლად საჭიროა ადგილობრივი პირობებისათვის შერჩეული ჯიშის ხეხილის ნერგების გამოზრდა, შეიძლება აგრეთვე დახმარებისათვის მიმართოთ სახელმწიფო და საკოლმეურნეო ხეხილსანერგეებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქსეხილოთესლსანერგეს რესპუბლიკურ კანტორას, რაიონების სოფლის მეურნეობის ინსპექციებს.

საქართველოში მრავალი ხეხილსანერგე არსებობს: ლაგოდეხში, წნორში, სამგორის რაიონში („თბილისის ზღვასთან“), მცხეთის რაიონში (სოფ. ქანდარა), გორში, ქარელის რაიონში (სოფ. ბებნისი), სტალინირში, ახალციხის რაიონში (სოფ. წნისი), ზესტაფონში, თერჯოლის რაიონში, ქუთაისის მახლობლად წყალწითელაზე, ზუგდიდში, ჩოხატაურში, ბათუმის რაიონში (სოფ. კახაბერი), ციხისძირში, ცხაკაიაში, სოხუმის რაიონში (სოფ. ბესლეთი), მახარაძის რაიონში (სოფ. ურეკი).

ხეხილის კულტურებსა და ჯიშებს,—როგორც ზემოთ ვთქვით,—შერჩევა უნდა. ზოგიერთ მაღალმთიან რაიონში თუ კარგად ხარობს ვაშლი, მსხალი, ქლიავი, და ალუბალი, იქ არ იხარებს ატამი, ლეღვი, ბროწეული, ხურმა.

ზოგიერთი ხეხილი, მაგალითად, თხილი, ალუბალი, აგრეთვე ზოგიერთი ჯიშის ქლიავი, კომში, ეკლო და სხვა უხვად ავითარებს ფესვის ამონაყრებს. ეს გარემოება საგრძნობლად აადვილებს აქ ჩამოთვლილი მცენარეების გამრავლებას; კარგად გაფესვიანებული დედამცენარის ამონაყარის მოთხრა და მისი ნერგად გამოყენება სავსებით დასაშვებია.

ზოგიერთი ხეხილი და კენკროვანი მცენარე, მაგალითად, ლეღვი, ბროწეული, მოცხარი და სხვა, ადვილად ფესვიანდება კალმებით. ამ შემთხვევაში დედამცენარიდან იჭ-

როგორ გადავიღოთ ფეიზაჟი

ზღაპრულად ლამაზია ჩვენი ქვეყნის ბუნება: მთა-გორაკები და მთის ჭალები, მდინარეები, ხეობები და დაბლობები, ზღვები, ტბები და ზღვისპირეთი; ყველგან, სადაც ადამიანის თვალი მიწვდება, მომხიბლავი პეიზაჟია გადაშლილი.

ფოტოგრაფიას, როგორც ხელოვნების ერთ-ერთსა და თავისებურ დარგს, უაღრესად დიდი როლი ენიჭება ბუნების სრულყოფილად ასახვის საქმეში. ამისათვის საჭიროა ფოტოგრაფიის ტექნიკის ცოდნა და საჭიროებისამებრ მისი გამოყენება.



დამწყები ფოტომოყვარული თავის საქმიანობას, როგორც წესი, პორტრეტიდან გადაღებით იწყებს ხოლმე, მაგრამ ეს არ არის სწორი, რადგან პორტრეტის გადაღება უფრო მეტ დახელოვნებას მოითხოვს, ვიდრე პეიზაჟის გადაღება.

პეიზაჟის გადაღებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა გადასაღები ობიექტების სათანადო შერჩევა. დასახლებული პუნქტების, ქალაქების, შენობებისა და სხვა ხედების გადასაღებად საჭიროა მოძებნოს ისეთი წერტილი, საიდანაც გადასაღები საგანი სრულყოფილად გამოჩნდება. გადაღება შეიძლება როგორც შორი, ისე ახლო მანძილიდან. შორი მანძილიდან გადაღებისას ხეები, შენობები და სხვა საგნები ძლიერ წვრილი მასშტაბით მიიღება. შორი მანძილიდან გადაღება მიზანშეწონილია მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ გვსურს მივიღოთ საერთო წარმოდგენა ამათუიმ ქალაქზე, მთაზე, დასახლებულ პუნქტზე და სხვ. ახლო მანძილიდან გადაღებისას კი ფოტოსურათზე მიიღება გაცილებით მსხვილი მასშტაბის გამოსახულება, მაგრამ დეტალების უმეტესი ნაწილი არ იქნება გადაღებული.

პეიზაჟის გადაღებისას გადაღების ადგილი შერჩეულ უნდა იქნეს აგრეთვე ხიმაღლის მიხედვითაც. მაგალითად, მაღლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება 20—25 სანტიმეტრი სიგრძის კალმები, შეიკვრება კონებად და მას დარგვამდე ტენიან სილაში შეინახავენ. კალმების დაფესვიანება ხდება სანერგეში ან ბაღში.

კალმების დასაფესვიანებლად სანერგის ნიადაგი უნდა მოიხნას ან დაიბაროს 20—30 სანტიმეტრის სიღრმეზე, შემდეგ თოხით გაფხვიერდეს. კალმები დაირგვება მწკრივში, ერთმანეთისაგან 15 სანტიმეტრის დაშორებით, ხოლო მწკრივებს შორის მანძილი 80 სანტიმეტრით უნდა განისაზღვროს. ყოველი 100 ცალი კალმისათვის საჭიროა 12 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი. სანერგეში კალმები ისე უნდა დაირგას, რომ მიწის ზემოთ 1-2 კვირტი დარჩეს. დარგვა ხდება გაზაფხულზე.

სანერგეში დაკალმების გარეშეც შეიძლება მცენარისათვის განკუთვნილ მუდმივ ადგილზე ლეღვის, ბროწეულის და მოცხარის დარგვა წინასწარ ამოთხრილ ორმოებში.

რა თქმა უნდა, ვაშლის, მსხლის, ბლის, ატმის და სხვა ხეხილის ნამყენების მიღება ხეხილსანერგეებიდან უნდა მოხდეს.

ხეხილსანერგეებიდან მიღებული ნერგი, ვიდრე დაირგვებოდეს, შენახულ უნდა იქნას ფარდულში, მას ფესვებზე ტენიანი მიწა უნდა მივაყაროთ, ან ნაკვეთში უნდა გაითხაროს თხრილი და თხრილში ჩაეწყოს ნერგები, ფესვებზე აუცილებლად უნდა მიეყაროს მიწა და წყალი მოეხხუროს.

ხეხილი უნდა დაირგას საკარმიდამო ნაკვეთებზე მწკრივებად, მცენარეთა შორის შემდეგ მანძილზე: ვაშლი და მსხალი 7-8 მეტრზე; ქლიავი, ბალი, გარგარი, ლეღვი, კომში 6-7 მეტრზე; ალუბალი, ატამი თხილი 4-5 მეტრზე; ყოლო, მოცხარი, ხურტკმელი 1,5 მეტრზე; კაკალი 10-12 მეტრზე; ბროწეული 2-3 მეტრზე.

ხეხილის დასარგავად წინასწარ უნდა ამოითხაროს ორმოები, რომელთა სიღრმე 50 სანტიმეტრი, ხოლო სიგანე 80-100 სანტიმეტრი უნდა იყოს. დარგვის წინ მიწა უნდა ჩაიყაროს ორმოში მისი სიმაღლის 3/4-ზე, 10-12 კილოგრამი გადამწვარი ნაკელის შერევით.

დარგვამდე ხეხილის ფესვებს დაზიანებული ადგილები ბაღის მაკრატლით უნდა წაეჭრას ისე, რომ არ დამოკლდეს. რაც მეტი ფესვები შერჩება ნერგს, იმდენად უკეთესია მისი გახარებისათვის. დარგვისას ხეხილის ნერგს ორმოში კარგად უნდა გაეშალოს ფესვები, ფხვიერი მიწა მიეყაროს, თანდათანობით კარგად მიეტკეპნოს ფეხით და გარშემო გაუკეთდეს ჯამი მოსარწყავად. ახლადდარგული ხეხილი მაშინვე უნდა მოირწყას, თითოეულ ძირზე 2 ვედრო წყალი დაესხას და ძლიერი ქარისაგან რომ არ წაიქცეს, ან გვერდზე არ გადაიხაროს, ხარზე უნდა აიკრას.

ახლადდარგული ნერგი 1-2 წლის შემდეგ უნდა გაისხლას. ეს ღონისძიება აუცილებლია ნერგის გახარების, ნორმალური ზრდისა და ხის ძირითადი ტოტების განვითარებისათვის. გასხვლისას უნდა წაეჭრას დაზიანებული და ზედმეტი ტოტები, დაეტოვოს 5-6 ტოტი, საიდანაც მთავარი ტოტები გაფორმდება. ეს ტოტები სანახევროდ უნდა დამოკლდეს. მართალია, ხეხილის ძირითადი ტოტების ფორმირება შედარებით რთულია, მაგრამ თუ ადგილზე აგრონომის რჩევას მიიღებთ, ეს საქმე დაძლეული იქნება.

მარტო ხეხილის დარგვა არ კმარა. ნარგავმა რომ გაიხაროს და კარგად გაიზარდოს, მოვლა არ უნდა დავაკლოთ. პირველ წელს ნარგავის მოვლა გამოიხატება 4-5 ჯერ მორწყვასა და მის ირგვლივ მიწის გაფხვიერებაში. დანარჩენზე შემდეგ ვისაუბროთ.

ალ. ბუჩუკური

საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი.

გადაღებისას სურათზე მიიღება როგორც წინა, ისე უკანა პლანის დეტალები, რომლის დროსაც უკანა პლანის წვრილმან დეტალებს საერთო ფონის სახე ექნება. შედარებით დაბალი ან ნორმალური გადაღების წერტილის შერჩევის შედეგად ფოტოსურათზე გადმოცემული იქნება წინა პლანის დეტალი, ხოლო ფონად იქნება ცა. იმ შემთხვევაში, როდესაც პეიზაჟის ფონად ცა იქნება გამოყენებული, გადაღებისათვის უნდა ღრუბლიანი ცა შევარჩიოთ. ხოლო თუ ცა მოწმენდილია, მაშინ სივრცობრივი სიღრმის გასაძლიერებლად უნდა გამოვიყენოთ ახლო მდებარე ხის ტოტები; მაგრამ ასეთ გადაღებას უნდა მივმართოთ მხოლოდ იმ დროს, როდესაც გადასაღებ ობიექტში არის ხე, როგორც ერთ-ერთი დეტალი.

პეიზაჟს უფრო მეტი ხრულფასოვნება ენიჭება, თუ მასთან ერთად გადაღებული იქნებიან ადამიანები თავიანთი საქმიანობის დროს.

ტყეებისა და ბაღების მშვენება მარტო ხეები, ბუჩქები და ყვავილები როდია. ტყეებსა და ბაღებს ეტანება უამრავი გარეული ცხოველი და ფრინველი. ამიტომ პეიზაჟის გადაღება სახურველია მცენარეებთან, ცხოველებთან და ფრინველებთან ერთად.

პეიზაჟის გადასაღებად უნდა გამოვიყენოთ წვრილმარცვლოვანი ფოტოფირები. გადაღების შემდეგ ექპონირებული ფოტოპირი უნდა გავამუღავნოთ წვრილმარცვლოვან სამყღავნებელში, რისთვისაც რეკომენდებულია სამყღავნებელი ხსნარი ნ. კ. ფ. ი. 1. აღნიშნული სამყღავნებლის სამუშაო ტემპერატურა 20 გრადუსია, გამომყღავნების ხანგრძლივობა — 10-15 წუთი. ერთ სამყღავნებელში შეიძლება გამოვამყღავნოთ 5 კოჭი ფოტოფირი.

გ. ჯოჯუა

1
2
3
4

ერთდროულად ათასობით მაყურებელი

უცნაური სიზმარი ნახა გიამ: ურალელმა ხელოსანმა ცეროდენამ, პოლკის შვილობილმა ვანია სოლნცევმა, თემურმა და მისი რაზმის წევრმა ჟენიამ, ქართველმა ბიჭმა ქაჯანამ, ტომმა და მისმა მეგობარმა ბეკიმ, თავგადასავლების მოყვარულმა დ'არტანიანმა და წიგნების სხვა გმირებმა სასამართლო მოაწყეს მათი უღირსი პატრონის წინააღმდეგ (ფოტო № 1). მერე, რა ბრალდებები არ წაუყენეს გიას!.. ერთნი ამბობდნენ, რომ „ბიჭმა, რომელსაც გია ჰქვია, ისე დასვარა მელნით პორთოსის, ათოსისა და არამასის კამზოლები, რომ ამ მუშკეტერთაგან ვერც ერთმა ვერ შესძლო სასამართლოზე მოსვლა... მეორენი სწუხდნენ – „ერთხელ ძლივს მოახერხა ქაჯანამ ენის ამოდგმა და გიას მიზეზით კინაღამ ისევ დამუნჯდაო". განრისხებულმა ცეროდენამ გიას სამაგალითოდ დასჯა მოითხოვა და განაცხადა: დე, ყველაზე საშინელება მისთვის ის იყოს, რომ როცა წიგნს გადაშლის, სურათები გაუჩინარდნენ, ასოები დაიფანტნენო (ფოტო № 2).

სამსჯავროს გიას მიერ კალმით გაჭრილი არსენაც ესწრებოდა (ფოტო № 3). გიასავით მუხანათურად არც ფარსადანი და არც კუჭატნელი არ მოქცევიან მას! და აი, სასამართლოზე არსენაც გიას წინააღმდეგ გამოვიდა.

— ჩვენ ზურგს შევაქცევთ მას! იგი ვერასოდეს ვერაფერს გაიგებს ვერც წარსულზე, ვერც მომავალზე!— დაასკვნეს მეგობრებმა,

ო, რა მკაცრი განაჩენი გამოუტანეს გიას!

მაგრამ ეს რაა? ცხადია თუ სიზმარი? ნათელა, გიას და, თავზე წაადგა მაგიდაზე ჩაძინებულ ძმას და...

— გია! უკვე თორმეტი საათია... ადექი, ლოგინში დაწექი, დაიძინე! წიგნებიც რა დღეში გაქვს!

გიამ თვალები მოისრისა, გაკვირვებით შეხედა დას და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ეს სიზმარი ყოფილა, საშინელი, განუმეორებელი სიზმარი. და გიამაც შვებით ამოისუნთქა... (ფოტო № 4).

ეს არაჩვეულებრივი ისტორია დაედვა საფუძვლად სპექტაკლს, რომელსაც ერთდროულად უცქეროდა როგორც თბილისის, ასევე თელავის, გორის, საგარეჯოს, სტალინირისა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების ათასობით მაყურებელი.

გაიკვირვებთ—სად, რომელ თეატრში უჩვენებდნენ ამ სპექტაკლს, ან როგორ მოხერხდა ასეთი აუდიტორიის შეკრებაო.

საქმე იმაშია, რომ ი. ტურიჩინის პიესა „უცნაური სასამართლო", რომელიც გიას თავგადასავალზე მოგვითხრობს, თავის მორიგ დადგმად აირჩია თბილისის სატელევიზიო სტუდიის საბავშვო გადაცემათა რედაქციასთან ახლახან ჩამოყალიბებულმა მოსწავლეთა სატელევიზიო თეატრმა. ტელეგადაცემებს კი თბილისში და მის მახლობელ ქალაქებსა და სოფლებში ყოველდღიურად ხომ ათასობით მაყურებელი ჰყავს.

სწორედ ეს იყო იმის მიზეზიც, რომ სპექტაკლის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე სტუდიაში, საიდანაც ახალი დადგმა უნდა გადაცემულიყო, განსაკუთრებული მღელვარება სუფევდა. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლის ყველა მონაწილემ—ნორჩმა მსახიობმა, მთელმა დამდგმელმა ჯგუფმა კარგად იცოდა თავისი ამოცანა, სპექტაკლის რეჟისორი შ. ქარუხნიშვილი მაინც ნერვიულობდა, ღელავდა, ადგილზე ვერ ისვენებდა. ოპერატორ ჯ. გრიგორაშვილსა და რეჟისორის ასისტენტს ლ. ხაჩიძეს კიდევ ერთხელ აძლევდა მითითებებს (ფოტო № 5).

... სპექტაკლის დაწყების დროც მოახლოვდა. ტელევიზორის მოთეთრო ეკრანზე გამოჩნდა სატელევიზიო თეატრის ემბლემა და ახალი სპექტაკლის აფიშა...

გადმოცემა დაიწყო...

*

თეატრი და მაყურებელი საერთოდ მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან... მსახიობი, რეჟისორი უკვე სპექტაკლის მსვლელობის დროს გრძნობს მაყურებლის თვალს, ხედავს თუ როგორ ხვდებიან სპექტაკლს, მოსწონთ თუ უკმაყოფილონი არიან კოლექტივის ნამუშევრით.

სატელევიზიო თეატრი კი მაყურებლის აზრს მხოლოდ მეორე-მესამე დღეს იგებს. ფოსტას მოაქვს მაყურებლის აზრი, მისი შენიშვნები, მისი შთაბეჭდილებები თუ წერილები ბევრია, ეს ნიშნავს—გადაცემას ინტერესი გამოუწვევია, თუ ფოსტა ცარიელია—საქმე ცუდად ყოფილა; ჩანს, მაყურებელს გულთან არ მიუტანია მთელი კოლექტივის ნამუშევარი...

... სატელევიზიო თეატრის ამ ახალ სპექტაკლზე კი რედაქციამ სხვადასხვა ხასიათის წერილები მიიღო. ზოგი აკრიტიკებდა დადგმას, ზოგს მოსწონდა, ზოგი გვთხოვდა მის განმეორებით ჩვენებას. ერთი ასეთი წერილიც იყო: „ვნახე დადგმა, მომეწონა. გია ძალიან მგავს მე"... და ბოლოს წერილის ავტორის გვარის ნაცვლად მხოლოდ სახელია—„ვაჟა"...

*

მოსწავლეთა სატელევიზიო თეატრის წევრები, თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, ნ. მელაშვილი, ი. პაიჭაძე, ლ. ჯარმელაშვილი, ნ. გუჩმაზაშვილი, ნ. ნათაძე, მ. დავარაშვილი, ლ. მგალობლიშვილი, თ. ბარნაბიშვილი, ნ. ქუთათელაძე და სხვები წარჩინებული მოსწავლეები არიან. სკოლაში სამაგალითო, ბეჯით სწავლას ისინი კარგად უთავსებენ მოსწავლეთა თეატრში ნაყოფიერ მეცადინეობას. სწორედ ამიტომ მივიღეთ ეს მოსწავლეები ჩვენი თეატრის კოლექტივში.

ბ. ბაჩეჩილაძე

ფოტო ნ. კეზელისა

ამბავი ყველაფერზე

გიორგი სააკაძის ბეჭედი

ბორჯომის ხეობაში, სოფელ კორტანეთის სანახებში, მიწისმთხრელმა მუშებმა 1912 წელს იპოვეს ძვირფასი ისტორიული ნაშთი—ქვის ბეჭედი. ქვაზე გამოსახულია წვერულვაშიანი კაცის სახე, რომელსაც თავზე ყაბალახი აქვს შემოხვეული. ბეჭედს სამი სხვადასხვა ფერი ჰქონდა: თვით სახე თეთრია, შუბლი მწვანე, თავი ნაცრისფერი. ბეჭედი ერთი თლილი ქვისაგან არის გაკეთებული. კეფაზე წარწერა აქვს: «დიდი მოურავი გიორგი» და ამოჭრილია ლახტი.

გამოირკვა, რომ ეს ბეჭედი ეკუთვნოდა გიორგი სააკაძეს.

დინოზავრების შთამომავლები?

ვინ მოთვლის რამდენი სხვადასხვა ჰიპოთეზა არის წამოყენებული დინოზავრების გადაშენების მიზეზის თაობაზე. მაგრამ ნუთუ მართლაც მთლად გადაშენდნენ დინოზავრები? ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრება აქვს წამოყენებული ბელგიელ პროფესორს ეიველმანს. იგი ამტკიცებს, რომ აფრიკის ველურ მცხოვრებთა მონაყოლი შესაძლოა მართალი იყოს იმის

შესახებ, რომ კამერუნის უდაბურ ტყეებში ცხოვრობს რაღაც საოცარი ცხოველი, რომელიც ძალზე გავს დინოზავრს. მისი აზრით გამოკვლევები უნდა გაგრძელდეს და არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მეცნიერება კიდევ ერთი ახალი საოცრების წინაშე აღმოჩნდება.

უძველესი ნაშრომი ინდოეთზე

ინდოეთსა და ჩვენს ქვეყანას შორის დიდი ხანია არსებობს კავშირი, რომელსაც ჯერ კიდევ ათანასე ნიკიტინის მოგზაურობის დროს ჩაეყარა საფუძველი.

1846 წელს მოსკოვში გამოვიდა სამტომეული, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის მოსახლეობისათვის მსოფლიოს ხალხების ცხოვრების, წესებისა და ადათ-ჩვევების გაცნობას. პირველი ტომი ინდოეთის, ინდოჩინეთისა და



ბირმისადმი იყო მიძღვნილი. განსაკუთრებით ვრცლად და საინტერესოდ იყო აღწერილი ინდოეთი, რომელიც ტიუტჩევის მიერ იყო დაწერილი. ეს წიგნი ბელინსკიმ დადებითად შეაფასა.

ფუტკრები—დამპყრობლები

ამერიკის ერთ-ერთ აეროდრომზე ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლა ფუტკრის გუნდთან, რომელმაც შვეულმფრენი დაიკავა.

პირველ დღეს აეროდრომის მომსახურე პერსონალის ძალებით სცადეს ფუტკრების გარეკვა, მაგრამ ეს ცდა შეტევაზე გადასულთა სამარცხვინო გაქცევით დამთავრდა.

მეორე დღეს თავდასხმის ყველა თანამედროვე საშუალება იქნა გამოყენებული, თვით ქიმიურიც კი... ბოლოს, ფუტკრებმა სრულიად მოულოდნელად დატოვეს შვეულმფრენი, მაგრამ მასში დედა ფუტკარი დარჩა და მალე მთელი გუნდი უკანვე დაბრუნდა.

მაშინ ასეთი რამ მოიფიქრეს: შვეულმფრენს ირგვლივ ბრეზენტი შემოახვიეს, რითაც ფუტკრები გარე სამყაროს მოსწყვიტეს: დამშეული ფუტკრები ბოლოს და ბოლოს დაგვნებდებიანო. მაგრამ დასვენებულმა ფუტკრებმა, როგორც კი გარეთ გამოჭრის საშუალება მიეცათ, უფრო სასტიკად შეუტიეს ადამიანებს.

მხოლოდ მეოთხე დღეს მოისაზრეს მფრინავებმა ჩვეულებრივი მეფუტკრის მოყვანა, რომელმაც დაიჭირა დედა ფუტკარი და უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ ფუტკრების გუნდი აეროდრომიდან გაყვანილ იქნა.

შეეშალათ

შვეციის სამხედრო აკადემიაში სურათების გამოფენის გახსნიდან ორი კვირის შემდეგ საოცარი სკანდალი მოხდა: ერთ-ერთი მხატვარი ეცა თავის სურათს და საჯაროდ ჩამოფხრიწა იგი ჩარჩოდან.

როგორც გამოირკვა, კედელზე ეკიდა ტილოს ნაჭერი, რომელშიაც მხატვარი თავის პალიტრას ახვევდა ხოლმე. საღებავებით დასვრილი ტილო, მხატვრის სურათებს შორის მოხვედრილა, გამოფენის ორგანიზატორებს იგი ორიგინალურ სტილში დახატულ სურათად მიუჩნევიათ და გამოუფენიათ.

სურათის ორიგინალობით აღფრთოვანებული ხელოვნების მესვეურები მთელი ორი კვირა ტკბებოდნენ ამ «შედევრით».

ყველს ძეგლი აუგეს

გასული წლის ერთ-ერთ ნომერში ჩვენ ვწერდით, რომ ავსტრალიაში მწერს ძეგლი აუგეს. მაგრამ, როგორც ჩანს, უნიკალური ძეგლების სიაში კიდევ ყოფილა ერთი საოცარი ძეგლი, ძეგლი—ყველისათვის.

დაახლოებით 70 წლის წინათ კანადის ქალაქ პერტის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს ჩიკაგოს საერთაშორისო გამოფენისათვის დაემზადებიათ ყველაზე დიდი ყველი, რომელიც 10 ათას კილოგრამს აიწონიდა. პერტელებმა მართლაც დაამზადეს გიგანტური კვერეული. ამისათვის დაიხარჯა 94 ათასი ლიტრი რძე. ყველის დიამეტრი 9 მეტრს აღწევდა.

პერტის მცხოვრებლები ამაყობენ, რომ მხოლოდ მათ შეძლეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ყველის დამზადება. და სწორედ ამის აღსანიშნავად აღმართეს ყველის გიგანტური კვერეული მაღალ კვარცხლბეკზე.



მეხუთე ტომი

ალბათ ბევრმა თქვენგანმა უკვე წაიკითხა „სათავგადასავლო ბიბლიოთეკის“ ოთხი ტომი, რომლებიც „ნაკადულმა“ გამოსცა; უკვე „იმოგზაურეთ“ მრავალ ფანტასტურ ქვეყანაში გულივერთან ერთად; გაიზიარეთ უკაცურ კუნძულზე გარიყული რობინზონ კრუზოს ყველა გასაჭირი; მთელი არსებით განიცადეთ ყოველივე, რაც თავს გადახდათ პატარა ბიჭუნებს—ტომ სოიერსა და ჰეკლბერ ფინს; ხოლო კაპიტან გრანტის „ძებნაში“ რამდენი ახალი რამ ნახეთ და გაიგეთ.

მაგრამ აი, მრავალ უცხო ქვეყანაში ამდენი „მოგზაურობის“ შემდეგ თქვენ ისევ მშობლიურ საქართველოს დაუბრუნდით: „ნაკადულმა“ ამჯერად, „სათავგადასავლო ბიბლიოთეკის“ მეხუთე ტომი—„ქართველ მწერალთა ნაწარმოებები“ მოგაწოდათ.

ამ ტომში შეტანილია ოთხი ქართული ნაწარმოები: აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, უიარაღოს (ბ. თათარიშვილის) „მამელუკი“, შიო არაგვისპირელის „გაბზარული გული“ და ვასილ ბარნოვის „ისნის ცისკარი“.

მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უმშვენიერესი ქმნილებაა. უკვდავმა მწერალმა ამ მოთხრობაში ასახა ქართველი ხალხის გაუტეხელი ნებისყოფა, გმირული სული, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული და ერთგულება.

მე-17 საუკუნე საქართველოსათვის მეტად შავბნელი პერიოდი იყო. ირანელი დამპყრობლების გამუდმებული შემოსევების შედეგად მრავალჯერ აოხრდა, გადაიწვა ქართული სოფლები და ქალაქები. ყველაზე მეტი ვნება საქართველოს შაჰ-აბასმა მიაყენა. ირანის ამ უსასტიკესმა მბრძანებელმა გადაწყვიტა ცეცხლითა და მახვილით დაეთრგუნა ქართველ ხალხში თავისუფლების სიყვარული.

საქართველოს ისტორიის სწორედ ეს პერიოდია ასახული „ბაში-აჩუკში“. მოთხრობის მთავარი გმირია ახალგაზრდა ბაქრაძე, რომელსაც ირანელებმა „ბაში-აჩუკი“ შეარქვეს. ბაში-აჩუკის სახით ნაჩვენებია ჭეშმარიტი პატრიოტის, სამშობლოს უერთგულესი ვაჟკაცის იდეალური სახე. მისი ყოველი მოქმედება მამულის განთავისუფლების საქმესთან არის დაკავშირებული.

„ბაში-აჩუკში“ გამოყვანილი არიან



აგრეთვე ცნობილი ქართველი გმირები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე უყოყმანოდ გასწირეს სამშობლოს გადასარჩენად.

საქართველოში მე-19 საუკუნემდე ერთ დიდ უბედურებასაც ჰქონდა ადგილი. ეს იყო—ახალგაზრდა ქალ-ვაჟების მოტაცება და მათი გაყიდვა უცხოეთის ბაზრებზე. აი, ასეთი შემაძრწუნებელი უბედურება დაატყდა თავს მოთხრობა „მამელუკის“ მთავარ მოქმედ პირს—მეგრელ ბიჭუნა ხვიჩას. იგი მოიტაცეს და უცხოეთში გაყიდეს. წამოიზარდა თუ არა, ხვიჩა მამელუკი გახდა (მამელუკებს უწოდებდნენ მხედრობას, რომელიც ხვიჩასავით მოტაცებულთაგან შედგებოდა). მალე ხვიჩა ვაჟკაცობით სახელს გაითქვამს და მხედრობის სათავეში

დგება. როცა ფრანგების ლაშქარი აფრიკას შეესია, ხვიჩა თავგანწირვით იცავს ეგვიპტეს. არ შეიძლება დიდი მღელვარებით არ წაიკითხოთ მოთხრობის ფინალი, სადაც ხვიჩასთან ორთაბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი ფრანგი ოფიცერი ძირს ეცემა და უნებურად აღმოხდება სიტყვები: „ვაი, ნანა!“ ამ სცენას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ამბავი, რომ ფრანგი ოფიცერი ხინამდვილეში ქართველი აღმოჩნდება.

შეუნელებელი ინტერესით იკითხება რომანი „გაბზარული გული“. ამ რომანს საფუძვლად ლეგენდა უდევს. წარმტაცად არის მოთხრობილი უბრალო ხალხის წრიდან გამოსული ჭაბუკის—მახარესა და ბატონის ასულ ეთერის საინტერესო თავგადასავალი.

„ისნის ცისკარი“ ვასილ ბარნოვის ისტორიულ რომანებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია. იგი ასახავს 1795 წელს საქართველოში აღა მაჰმად-ხანის შემოსევას, როცა ერთმა მუჭა ქართველებმა, მოხუცი ერეკლე მეორის წინამძღოლობით, ირანელთა მრავალრიცხოვან ლაშქარს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს კრწანისში, თბილისის კართან. ამ უთანასწორო ბრძოლაში გაიმარჯვა აღა მაჰმად-ხანმა, რომელმაც თბილისი ნანგრევებად აქცია. ბრძოლას ცოცხლად გადარჩენილებმა ერეკლე მეფე მთაში გახიზნეს. „ისნის ცისკარში“ ვ. ბარნოვი თავისებური ხატოვანი ენით გვიჩვენებს ყველა იმ ღირსებას, რომელსაც ქართველი ხალხი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში ამჟღავნებდა.

ს. შამფრიანი



თავსატეხი

ქვემოთ მოცემული კითხვების დახმარებით მოძებნეთ და ჩაწერეთ სიტყვები გარეთა პატარა წრეებში ისე, რომ ყოველი სიტყვის საწყისი ასო დანომრილ წრეებში მოხვდეს. თუ თქვენ ამას სწორად გააკეთებთ, მაშინ დანომრილი წრეების საშუალებით თქვენ წაიკითხავთ ერთ-ერთი მეცნიერების სახელს.

1. ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო ცენტრი; 2. კონტინენტი; 3. ქალაქი სსრკ-ში; 4. ქალაქი ჩრდილო კავკასიაში; 5. საბჭოთა კავშირის უდიდესი რესპუბლიკა; 6. მდინარე საბჭოთა კავშირის აზიურ ნაწილში; 7. სახელმწიფო ევროპაში; 8. სახელმწიფო აპენინის ნახევარკუნძულზე; 9. თურქეთის დედაქალაქი.

შეადგინა **გ. ნასყიდაშვილმა**

1 2

თავსატეხი

აბა სცადეთ და აქ მოცემული № 1 ფიგურა მაკრატლის ერთი გაჭრით დაყავით 5 ნაწილად, შემდეგ ეს ნაწილები დაალაგეთ და მიიღეთ № 2-ის მსგავსი კვადრატი.





საზრიანი ოსტატი

ოსტატს მიუტანეს სპილოს ძვლის ფირფიტა, რომლის სიგრძე იყო 16 სანტიმეტრი, ხოლო სიგანე — 9. დამკვეთის თხოვნით, ოსტატს ეს ფირფიტა ორზე მეტ ნაწილად არ უნდა დაეჭრა და ისე დაემზადებინა კვადრატი, რომლის გვერდები ზუსტად 12 სანტიმეტრი იქნებოდა.

ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ ოსტატმა დამკვეთს თხოვნა შეუსრულა.

აბა სცადეთ, იქნებ თქვენც მიხვდეთ, როგორ მოიქცა ოსტატი.

ი. ონაშვილი

მოიფიქრე!

45 ცალი კაკალი 9 თეფშზე დაალაგე ისე, რომ ყველა თეფშზე სხვადასხვა რაოდენობის კაკლები მოთავსდეს.

* * *

რამდენჯერ უსწრებს წუთის მაჩვენებელი ისარი საათის მაჩვენებელ ისარს დღე-ღამის განმავლობაში?

* * *

ენთო 7 სანთელი. ორი მათგანი ჩაქრა. რამდენი დარჩა?

ლ. გაგლოევა

გ ა მ ო ც ა ნ ა

როცა ცხელა, ქურქში ძვრება,
ზღარბს ჩამოჰგავს ძლიერ;
შესცივდება — ქურქს გაიხდის,
იცვლის ფერს და იერს.

მ. კახიძე

პასუხები

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 1. ჩაი; 3. სკა; 5. „თეო“; 6. ინა; 8. წრე; 9. ბაო; 11. ენა; 13. ალა; 15. ომი; 18. ონი; 19. ისი; 20. „იზა“; 21. ოდა; 23. ტბა; 25. ილი; 26. „ალი“; 27. უძო.

ვერტიკალურად: 1. ჩელო; 2. ია; 3. „სი“; 4. ალალი; 5. თხემი; 6. ილიჩი; 7. აბაშა; 8. წყავი; 9. ბროლი; 10 ონისე; 12. „ალი“; 14. აია; 16. ია; 17. „დო“; 21. ობი; 22. ალიზი; 23. ტარტუ; 24. აჭარა.

გამოცანები

1. ბოქლომი; 2. სიმინდის ტარო.

„ПИОНЕРИ“ журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина, № 5, 1960 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 3—81—85

სსსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «ნაკადული». | რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3-81-85 უე 00020. ტირ. 23.000. პირ. ფორ. რაოდ. 4½, ფიზ. ფორმ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 23/IV-60 წ. სტამბის შეკვ. 557. გაძომც. შეკვ. 252. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ|კ «კომუნისტი». | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. || ფასი 2 მან. |

ნახატები
ე. ამგოიპაძისა

პიონერული

5
მაისი
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა